ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

თბილისი, 2013

მწვანე ალტერნატივა

ანგარიშის მომზადებაში წვლილი შეიტანეს:

არასამთავრობო ორგანიზაცია სტეფანწმინდა
დაბა სტეფანწმინდა, 4700.
ალ. ყაზბეგის #14
ტელ: 597 120606
ელ. ფოსტა: eco_shota@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.stefantsminda.org.ge

ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი
ქუთაისი, ს.მესხის მე-4 შეს. #4
ტელ:. 599 228289
ელ. ფოსტა: infokutaisi@gmail.com
ვებ-გვერდი: www.kic.ge

„საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების
განვითარების ასოციაცია“ (ACSDG)
ქ. თეთრიწყარო, 2300
მუსხელიშვილის ქ. N11
ტელ: +995 790 223 583
ელ. ფოსტა: info@acsdg.ge; acsdg@caucasus.net
ვებ-გვერდი:www.acsdg.ge

სამხრეთის კარიბჭე
ახალციხე, ივერიელის #1ა
ტელ: (0 365) 22 07 80; 599 57 40 67
ელ. ფოსტა: samkhretisk@gmail.com
ვებ-გვერდი: www.sknews.ge

© მწვანე ალტერნატივა, 2013

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში“ განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, მწვანე ალტერნატივას პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროცესებში“ ფარგლებში.

მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის ევროკავშირს ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი
Project is funded by the European Union

სარჩევი

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში 2

ნაწილი 1. ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვის სფეროში 3

გარემოსდაცვითი მმართველობა 3

მდგრადი განვითარება 4

საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში 5

ენერგოსექტორი 6

პროექტების განხორციელება და მასთან დაკავშირებული პრობლემები 8

ფარავან ჰესი 8

ხუდონ ჰესი 8

ტრანსპორტის სექტორი 12

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი 12

ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტი 13

ურბანულ დაგეგმვასა და ქალაქების მწვანე საფართან დაკავშირებული წუხილები 13

ნაწილი 2. რეგიონული განვითარების სექტორალური დახმარების პროგრამის განხორციელების ზოგიერთ პრობლემატურ საკითხებზე 2012-2013 წლებში 15

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის რეაბილიტაცია 17

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე რეაბილიტაციის პროექტები 19

ინფრასტრუქტურული პროექტები ადიგენში 22

ქალაქ თეთრიწყაროს ქუჩების რეაბილიტაციის პროექტი 23

დასკვნა 27

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

1.11.2012 -15.10.2013

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მოკლედ აღწერს იმ პროგრესს, რომელსაც ქვეყანამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში მიაღწია 2012 წლის 1 ნოემბრიდან 2013 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდში[1].

საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა ზეგავლენა მოახდინა გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროებზე. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ამჟამინდელმა მმართველმა კოალიციამ „ქართული ოცნება“-მ, გარემოს დაცვა ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა თავის წინასაარჩევნო პროგრამაში და ეს არჩევნების შემდეგაც დაადასტურა.

მიუხედავად ზოგიერთი გაუმჯობესებისა, მათ შორის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინსტიტუციონალურ რეორგანიზაციას და ფუნქციათა აღდგენას, ვითარება ამ სფეროში კვლავ კრიტიკულია. გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა საჭირო ქმედებას. ამას გარდა, ქართული საზოგადოება ახლად არჩეული პარლამენტისა და ახლად ჩამოყალიბებული მთავრობისგან სწრაფ და რადიკალურ ცვლილებებს ითხოვს. იმისათვის, რომ შედეგები აჩვენოს, ახალმა მთავრობამ შესაძლოა იჩქაროს გარემოს დაცვის სფეროში ცვლილებების განხორციელება.

ამასთან, ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონალური განვითარებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სექტორალური საბიუჯეტო დახმარების პროგრამები, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეს საკმაოდ დიდი ზეგავლენა ქვეყანაში გარემოს ხარისხზე. ვინაიდან, სექტორალური პროგრამები მოიცავს როგორც გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის, ასევე საგზაო ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის პროექტების განვითარებას, ეს ზეგავლენა შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი.

იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობის, რეგიონალური განვითარების და გარემოსდაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმები და პროექტები შეესაბამებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, მნიშვნელოვანია ფართო დისკუსიებისა და კონსულტაციების წარმოება, შემოთავაზებული რეფორმების გადახედვა, სრული გამჭირვალობა და საზოგადოების ფართო მონაწილეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს რეგიონალურ დონეზე ადგილობრივი არასამთავრობოების ჩართვას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების პროცესში, რაც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი შესაძლებლობების ზრდას, ხოლო მეორეს მხრივ, ხელისუფლებისთვის შექმნის უკუკავშირის საიმედო მექანიზმს.

[1] წინა წლის ანგარიშებისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ www.greenalt.org

ნაწილი 1. ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვის სფეროში

გარემოსდაცვითი მმართველობა

ამონარიდი სამოქმედო გეგმიდან

პრიორიტეტული სფერო 3

ეკონომიკური განვითარების წახალისება, სიღარიბის შემცირებასა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაზე მიმართული ძალისხმევის განმტკიცება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, გარემოს დაცვის ჩათვლით, ეკონომიკური კანონმდებლობის და ადმინისტრაციული წესების შემდგომი დაახლოება.

მათ შორის:

ადმინისტრაციული სტრუქტურების და პროცედურების გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილი იყოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების სტრატეგიული დაგეგმვა და კოორდინირება შესაბამის სუბიექტებს შორის.

ევროკავშირის ჰორიზონტალურ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა როგორც პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით და ასევე ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმითა იყო მოთხოვნილი. უფრო მეტიც, ჰორიზონტულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობას ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაეთმობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხების იმ თავში, რომელიც გარემოს დაცვას ეძღვნება. თუმცა „მწვანე ალტერნატივას“ მიერ განხორციელებული შეფასების „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება – ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“[2] მიხედვით მთელი რიგი ხარვეზები კვლავაც ამოუფხვრელია. ხარვეზებს შორის, აღსანიშნავია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) პროცესს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ესაჭიროება, ის არ შეიცავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების რაიმე კონცეფციას და მის პროცედურულ რეგულირებას. ამასთან, საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივი საშუალებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა ბოლო წლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო. ფაქტია, რომ ბოლო წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად დააშორა საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ევროკავშირის გარემოსდაცვით პრინციპებს და ძირითად პრიორიტეტებს. ამასთან ზემოთხსენებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა გარემოს დაცვის სამინისტროს გავლენა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროზე.

პრობლემატურია ისიც, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის, ისევე როგორც ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მნიშვნელობის გაცნობიერება საკმაოდ დაბალია როგორც ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლებს, ასევე როგორც პარლამენტის წევრებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გარემოს დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის პროცესი სასწრაფო და აუცილებელი გახდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ყველა ახალი კანონი შესაბამისობაში იყო ევროკავშირის ძირითად გარემოსდაცვით დირექტივებთან.

2013 წლის გაზაფხულზე, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით ხელისუფლება ცდილობს გამოასწოროს წინა მთავრობის შეცდომები და ხარვეზები. შედეგად მოხდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აღდგენა და მისი გაფართოება გარემოსდაცვითი კონტროლის და მონიტორინგის ფუნქციების მინიჭების გზით[3].

---

[2] www.greenalt,org

[3] ყველაზე რადიკალური ცვლილებები 2011 წლის გაზაფხულზე გატარდა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა სამინისტროს უფლებამოსილებები.

2012 წლის ერთ–ერთი ყველაზე სადავო საკითხი იყო გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ე.წ. ახალი მოდელის შემოღება, რაც გულისხმობდა უვადო შეთანხმების გაფორმებას დაინტერესებულ მხარესა და ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის. სახელმწიფოს სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, დაინტერესებული პირი თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისგან იმ დარღვევებზე, რომლებიც მან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩაიდინა. 2013 წლის მარტში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ „შეთანხმება ბუნების წინააღმდეგ“ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო.

მდგრადი განვითარება

ამონარიდი სამოქმედო გეგმიდან

მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

- **მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ზომების განსაზღვრა;**
- **მდგრადი განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და შესაბამის სუბიექტებს შორის კოორდინირების უზრუნველყოფა;**
- **ზომების მიღება გარემოსდაცვითი საკითხების სხვა პოლიტიკების სექტორებში ინტეგრირების გაუმჯობესებისათვის;**
- **ზომების მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ შექმნილია პირობები კარგი გარემოსდაცვითი მმართველობისთვის, და მათი განხორციელების დაწყება.**

გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრირება სხვა დარგობრივ პოლიტიკებში კვლავ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს საქართველოში. გარემოსდაცვითი საკითხების განვითარების სტრატეგიაში ინტეგრირების ერთადერთი მცდელობა იყო 2010–2017 წლების საქართველოს რეგიონალური განვითარების სტრატეგიის შემუშავება ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) სექტორალური საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, იმის ხაზგასმა, რომ ზოგადად, 2011 წლის რეგიონალური განვითარების სტრატეგია და თანმდევი დოკუმენტები, მათ შორის რეგიონალური განვითარების გეგმები, მნიშვნელოვანი პრეცენდენტია იმისა თუ როგორ უნდა წარიმართოს პროცესი და მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტში პრიორიტეტების ასახვა.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და პროცედურების სისუსტის გამო, რეგიონალური განვითარების სტრატეგიის განხორციელების დროს მთელი რიგი პრობლემები წარმოიშვა, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს სტრატეგიის წარმატებით განხორციელებასა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.

2013 წელს ამის ერთ–ერთი საუკეთესო მაგალითის წარმოადგენს ყაზბეგის რაიონში გზის რეაბილიტაცია, რომელიც წინამდებარე ანგარიშის მეორე თავშია განხილული. აღსანიშნავია, ისიც, რომ 2012 წელთან შედარებით რეგიონალურ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემატური პროექტების რაოდენობამ იკლო, რაც აიხსნება, ზოგადად რეგიონალური განვითარების სამინისტროს მხრიდან პროცესების შენელებით და პროექტების დაგეგმვის ნაწილისთვის უფრო მეტი ყურადღების დათმობით. ამავდროულად გაიზარდა გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობა სამინისტროს ქმედებებში რაც ნამდვილად მისასალმებელია.

საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

ამონარიდი სამოქმედო გეგმიდან

- **ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პროცედურების განმტკიცება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გარემოსდაცვითი საკითხების სტრატეგიული დაგეგმვა და მათი კოორდინირება შესაბამის სუბიექტებს შორის;**
- **ისეთი კანონმდებლობის და პროცედურების შემუშავება, რომლებიც გარემოსდაცვით ინფორ-მაციას უფრო ხელმისაწვდომს გახდიან და უზრუნველყოფენ გარემოსდაცვით საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობას, ,,ორჰუსის კონვენციის'' განხორციელების ჩათვლით;**
- **გაგრძელდეს გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებების რეგულარულად მომზადება;**
- **სტრუქტურებისა და პროცედურების გაძლიერება გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების მიზნით;**
- **საკომუნიკაციო სტრატეგიების შემუშავება გარემოსდაცვითი პოლიტიკის და მის მიერ მოტანილი სარგებლის პოპულარიზების მიზნით; სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტების და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა.**

საქართველოს კანონმდებლობა გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზო-გადოების მონაწილეობას ერთ–ერთ მთავარ გარემოსდაცვით პრინციპად აღიარებს (იხილეთ „ჩარჩო კანონი გარემოს დაცვის შესახებ"). თუმცა, დეკლარირებული პრინციპები არ არის ასახული კონკრეტულ პროცედურებში. კერძოდ, ლიცენზიების და ნებართვების უმეტესობა გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წესის თანახმად, რაც გამორიცხავს საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამას გარდა, პროექტის განმახორციელებული (და არა სახელმწიფო) ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში (მთლიანი ციკლი იგულისხმება – დაწყებული სკრინინგით და დამთავრებული საქმიანობის განხორციელებით).

ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ის არ შეესაბამება ევროკავშირის გარემოსდაცვით ჰორიზონტულ კანონმდებლობაში დეკლარირებულ მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ორგანო (და არა კერძო პირი) არის ვალდებული უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა. ხოლო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონი ითვალისწინებს საზოგადოებასთან კონსულ-ტაციების გამართვას გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევის მომზადებისას ინვესტორის მიერ.

2012 წელს განხორციელებული ერთადერთი პოზიტიური ცვლილება კანონმდებლობაში იყო ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც სამინისტრო აცნობებს საზოგადოებას გაცემული ნებართვების შესახებ.

თუმცა, პრაქტიკაში ჩვენ ვიხილეთ ზოგადი გაუმჯობესებები, რადგანაც 2013 წლის აპრილიდან მოყოლე-ბული სამინისტრო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს შეტყობინებებს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ იმ პროექტებზე, რომელთაც საზოგადოების მხრიდან ინტერესი გამოიწვიეს. გარდა ამისა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, ის აწყობს საჯარო მოსმენებს იმ პირთათვის, რომლებიც ადმინისტრაციულ პროცესში ჩართვას ითხოვენ.

დადებით ნაბიჯად უნდა შეფასდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ჩამოყალიბება.

ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

- **გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი ბაზის შექმნა და ადმინისტრირება შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან, აკადემიურ, საგანმანათლებლო, არასამთავრობო, კერძო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით;**
- **გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვება და გაცემა;**
- **გარემოსდაცვითი პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება, მონაცემთა ბაზის შექმნა და საჯაროობის უზრუნველყოფა;**
- **გარემოსდაცვითი ლიტერატურის შეგროვება და ბიბლიოთეკის (მათ შორის ელექტრონული) შექმნა;**
- **გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა ვებგვერდისა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების (ინტერნეტ-საინფორმაციო ქსელი, მედია საშუალებები და სხვა) გზით.**

თუმცა, ამ ეტაპზე ძალიან ნაადრევია ცენტრის ეფექტურობის შესახებ საუბარი.

მთავრობის მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელიც პოზიტიურად შეფასდა, არის „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 219–ე განკარგულების მიღება. განკარგულება შვიდი მუხლისგან შედგება, და განსაზღვრავს აჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების სტანდარტებს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესებს და იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელთა პროაქტიულად გამოქვეყნებაც უნდა განხორციელდეს. ამასაც დადებითი გავლენა ექნება გარემოსდაცვით მმართველობაზე.

ენერგოსექტორი

ამონარიდი სამოქმედო გეგმიდან

ენერგეტიკის პოლიტიკის დაახლოება ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის მიზნებთან

- **კარგად გათვლილი და გრძელვადიანი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება,**

  რომელიც თანდათანობით დაუახლოვდება ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის მიზნებს, ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოების ჩათვლით;

  ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენება
- **ენერგოეფექტურობის და ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებისათვის სამოქმედო გეგმის (ფინანსური გეგმის ჩათვლით) შემუშავებისთვის ნაბიჯების გადადგმა;**
- **კანონმდებლობის მიღება ენერგოეფექტურობის და ენერგიის განახლებადი წყაროების შესახებ;**
- **ენერგოეფექტურობის და ენერგიის განახლებადი წყაროების საკითხებით დაკავებული ინსტიტუტების განმტკიცება;**

2013 წლის იანვარში საქართველომ შეიტანა განაცხადი ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების მიზნით, თუმცა მნიშვნელოვანი წინსვლა ენერგეტიკის სექტორში მიღწეულ იქნა საერთაშორისო დონეზე დაფინანსებული ინიციატივებით და არა ქვეყნის მიერ წამოყენებული ინიციატივებით, ხოლო ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის შესახებ კანონის შემუშავება კვლავ გადაიდო.

2011 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ივნისამდე პერიოდში საქართველოს რაიმე მნიშველოვანი პროგრესისთვის არ მიუღწევია მისი ენერგეტიკული და კლიმატის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით; საქართველოს ენერგოსექტორში ძირითადი პრობლემები უცვლელი დარჩა.

ზოგადად, საქართველოს არ გააჩნია ენერგოსექტორის სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2001 წლის შემდეგ ენერგობალანსიც არ მომზადებულა. ბოლო წლებში განხორციელებული გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, საქართველოში ენერგოსისტემის მდგრადობა კვლავ პრობლემატურია. ძირითად პრობლემებს შორის ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ მიწოდების უსაფრთხოება; გარემოსდაცვითი სტანდარტების ინტეგრაცია როგორც ენერგოგენერაციის, ისე მოხმარების პროცესში; ასევე კონკურენტუნარიანი სისტემების

განვითარება მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ზომიერ ფასად მიწოდების მიზნით. დღეს საქართველო მთლიანად დამოკიდებულია იმპორტირებულ ორგანულ საწვავზე, რაც ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების საფრთხეს ქმნის, ხოლო ენერგოინტენსივობის პარამეტრები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაჩვენებლებს 2–3–ჯერ აღემატება.

წარსულის შეცდომების აღმოფხვრა შეუძლებელია ღრმა და მკაფიო ანალიზის გარეშე. თუმცა, ახალი მთავრობა, ძველი მთავრობის მსგავსად ცდილოს წარმოაჩინოს ქვეყანა განახლებადი ენერგიის მომავალ რეგიონალურ ცენტრად და განავითაროს დიდი კაშხლების კასკადები ძირითადად საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში; მათ შორის ხუდონის ჰიდროელექტროსადგური (702 MW დადგმული სიმძლავრე, წლიური გამომუშავება 1.5 TWh) მდინარე ენგურზე; ნამახვანის კასკადი (450 MW დადგმული სიმძლავრე, წლიური გამომუშავება 1.6 TWh); ნენსკრას კასკადი (438 MW დადგმული სიმძლავრე, წლიური გამომუშავება 1.2 TWh), ასევე დერივაციული ჰესები, როგორიცაა ფარავან ჰესი (87 MW) და დარიალ ჰესი (109 MW), ისევე როგორც მცირე ჰესები ქვეყნის მასშტაბით, რომელთა საერთო დადგმული სიმძლავრეც თითქმის 1000 MW–ს შეადგენს.

დაგეგმილი პროექტები არ შეესაბამება მდგრადი განვითარების პრინციპებს და მათ შესაძლოა სერიოზული უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ გარემოზე, რადიკალურად შეცვალონ საქართველოს მაღალმთლიან რეგიონებში არსებული სოციალური და დემოგრაფიული სიტუაცია და კულტურული მემკვიდრეობის განადგურება გამოიწვიონ.

ამას გარდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახალი ჰესები მოაგვარებს ენერგოსექტორის მთავარ პრობლემებს: სეზონური დისბალანსისა და ზედმეტი ელექტროენერგიის (ექსპერტთა შეფასებით, ზედმეტი ელექტროენერგიის რაოდენობა დაახლოებით 700–800 GWH-ია წლიურად, ანუ ქვეყნის შიგნით არსებული გენერაციის დაახლოებით 10%), ასევე ელექტროენერგიის ტარიფების ხელმისაწვდომობის და ენერგოინტენსივობის პრობლემებს.

2012 წლის „ჰესების მშენებლობის წლის“ ტენდენცია მთავრობამ 2013 წელსაც გააგრძელა მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე. ისევე როგორც ადრე, მთავრობა კვლავაც უზრუნველყოფს აშენების, საკუთრებისა და ექსლუატაციის (Build, Owned, Operated - BOO) მოდელს კაშხლების მშენებლობისთვის. 2013 წლის აგვისტოში ენერგეტიკის სამინისტრომ ახალი ჰესების მშენებლობისთვის ახალი რეგულაციები მიიღო განახლებადი ენერგიის 2008 წლის პროგრამის ფარგლებში, ყოველგვარი საჯარო განხილვების გარეშე.

წინ გადადგმულ ნაბიჯად განიხილება ჰესების მფლობელებისთვის წაყენებული მოთხოვნა, რომლის თანახმადაც მათ უნდა უზრუნველყონ, რომ გამომუშავებული ელექტროენერგიის 20% ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა (ესკო) შეისყიდოს გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით ექსპლუატაციის პირველი 10 წლის მანძილზე, თუმცა, ეს რეგულიცია არ და ვერ არეგულირებს არსებულ სეზონურ დისბალანსს, რადგანაც მასში არ არის დაკონკრეტებული, თუ როდის უნდა მიეწოდოს ეს 20% ენერგოსისტემას.

ამას გარდა, ენერგეტიკის სამინისტროს კვლავაც ინარჩუნებს ავადსახსენებელ პრაქტიკას, რომლის დროსაც სამინისტრო ადგენს პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების სიას, რომლის დროსაც კონკრეტდება პოტენციური ჰიდროელექტროსადგურის სახელი, მისი პოტენციური ადგილმდებარეობა, სქემა და ყველა ძირითადი ტექნიკური პარამეტრი და ისე აცხადებს ინტერესთა გამოხატვას. ანუ ადგენს ყველა ძირითად პარამეტრს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის გარეშე წინასწარ. გამარჯვებულმა კომპანიამ ენერგეტიკის სამინისტროსთან და ესკო–სთან ურთიერთგაგების მემორანდუმს უნდა მოაწეროს ხელი. თავად რეგულაცია არ ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას[4] არც ჰესების სიის მომზადებაში და არც ინტერესთა გამოხატვაში.

[4] როგორც ამას არჰუსის კონვენცია მოითხოვს.

პროექტების განხორციელება და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ფარავან ჰესი

უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე ალტერნატივამ EBRD-ის პროექტებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ორგანოში (PCM) საჩივარი შეიტანა. EBRD-იმ ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის პროექტისთვის დაფინანსება 2011 წლის თებერვალში დაამტკიცა. მართალია PCM-ს საბოლოო ანგარიში არ არის ხელმისაწვდომი, რადგანაც ის EBRD–ის დირექტორთა საბჭომ უნდა მიიღოს, PCM-ს წარმომადგენლის წერილში ნათქვამია, რომ წინასწარი დასკვნების თანახმად, პროექტი არ შეესაბამება PR 1–ს „გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვა“, PR 6–ს „ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა“ და PR 10–ს „ინფორმაციის გასაჯაროვება და დაინტერესებულ პირთა ჩართულობა“[5].

PCM-ს დასკვნებს გავლენა ექნება არა მხოლოდ ფარავან ჰესზე, არამედ უფრო ფართო მასშტაბით, რადგანაც ფარავან ჰესი მოდელად იქნა აღებული თითქოს ყველა შემდგომში შემუშავებულ EIA-ში დერივაციული ტიპის ჰესებისთვის.

ხუდონ ჰესი

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო სტრატეგიულ პროექტად მიიჩნევს. თუმცა, ჯერჯერობით კვლავ მიუწვდომელია შესაბამისი დოკუმენტები, რაც ზემოთხსენებულს დაადასტურებდა, ასევე ხარჯებისა და მოგების ანალიზი, განსახლების სამოქმედო გეგმა და მთელი რიგი კონკრეტული კვლევები, რასაც ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისია ითხოვს.

სოციალური საკითხები

პროექტის ზემოქმედება ადგილობრივ თემებზე ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია, რასაც გარემოსადაცვითი და ეკონომიკური რისკები უკანა პლანზე გადააქვს. პროექტის შემოთავაზებული სახით განხორციელების შემთხვევაში პირდაპირი (უშუალოდ დატბორვის ზონაში) და ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოხვდება ხაიშისა და ჭუბერის თემის სოფლები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები, ორი ეკლესია, საფლავები, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, მათ შორის, შუასაუკუნოვანი ხაიშის ციხე და ხაიშში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, I საუკუნით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლი, ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, ხოლო გადასახლება მოუწევს დაახლოებით 2000-ზე მეტ ადამიანს, რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს პოლიტიკური რისკების გაზრდას ქვეყნისთვის. გარდა ამისა, გადასახლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინების გარეშეც კი, ასეთი ფრაგმენტაცია (რომელიც სვანებმა ახლო წარსულში უკვე განიცადეს სტიქიური მოვლენების გამო) დამანგრეველ ზეგავლენას იქონიებს სვანთა მცირერიცხოვან ეთნოგრაფიულ ჯგუფზე. ამასთან, კომპანია „ტრანს ელექტრიკა“ დღემდე ცდილობს დამალოს მოსახლეობაზე ზეგავლენის რეალური მასშტაბი და არ ასახოს ანგარიშებში იმ დაზარალებული სოფლების ინტერესები, რომლებიც დატბორვის ზონის გარეთ ხვდება.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშთან ერთად არ გამოქვეყნებულა განსახლების გეგმა, რაც გზშ დოკუმენტაციის განხილვას საერთოდ აზრს უკარგავს. პროექტის განმახორციელებლები, საუბრობენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და მისი სტანდარტების გამოყენებაზე; თუმცა, მათ მიერ გამოყენებული მეთოდიკა ძალზე შორს დგას, როგორც მსოფლიო ბანკის, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობისგან, რომელიც მოითხოვს გასასახლებელ პირებთან დეტალურ, მიზნობრივ კონსულტაციებს, მონაწილეობის შესაძლებლობას განსახლების პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ხაზგასასმელია, რომ საზოგადოებასთან და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემებთან კონსულტაციის გარეშე, პროექტისათვის საჭირო 1500 ჰექტარი მიწა და მასზე განლაგებული უძრავი ქონება, მათ შორის, ადგილობრივ მაცხოვრებელთა ქონება და ასევე, 178 მილიონ აშშ დოლარად შეფასებული სამუშაოები, რომელიც გაწეულ იქნა საბჭოთა პერიოდში ხუდონჰესის საპროექტო არეალში, სიმბოლურ 1 აშშ დოლარად გადაეცა ინვესტორ კომპანიას.

[5] ელექტრონული წერილი EBRD PCM–ის ოფიცრისგან ანუშ ბეგოიანისგან: „გწერთ, რათა გაცნობოთ, რომ PCM-მ დაასრულა ფარავან ჰესის პროექტის შესაბამისობის შესწავლა; PCM-ს ექსპერტმა შესაბამისობის საკითხებში, გლენ არმსტრონგმა დაასკვნა, რომ არსებობს შეუსაბამობა EBRD–ის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის 1, 6 და 10 მოთხოვნებთან“

გადასასახლებელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გადასახლების წინააღმდეგია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დროს მოსახლეობის ნაწილი უკვე იყო გადასახლებული, თუმცა გადასახლებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ გაძლო და კვლავ დაუბრუნდა თავის პირვანდელ საცხოვრისს. ამ ოჯახებისთვის ხელმეორედ გადასახლება კიდევ უფრო რთული და მიუღებელია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში არ არსებობს განვითარების პროექტების შედეგად იძულებითი განსახლების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც მათ შორის, უზრუნველყოფდა გადასახლებულთა ცხოვრების ადექვატურ დონეს, როგორც ეს მოთხოვნილია შესაბამისი საერთაშორისო აქტებით.

ეკონომიკური საკითხები

არ არის ნათელი, რა სარგებელს მიიღებს პროექტის განხორციელებით საქართველო. პროექტი, ცალსახად, მომგებიანია ინვესტორისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ავტომატურად, რომ სახელმწიფოსთვისაც მომგებიანია. მეტად სადავოა პროექტის მხარდამჭერთა მტკიცება ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ყოველწლიურ 10%-იან ზრდასთან დაკავშირებით. საეჭვო და ტენდენციურია, ასევე, მტკიცება ქვეყნის ენერგო-დამოუკიდებლობის საქმეში ხუდონჰესის პროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ: ხუდონჰესიდან სახელმწიფო ყოველწლიურად მიიღებს მხოლოდ 133,9 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას 5.84 აშშ ცენტად (რაც შეადგენს ხუდონჰესის მიერ გამომუშავებული მთელი გამომუშავებული ენერგიის დაახლეობით 7%-ს), ხოლო დამატებითი საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მოუწევს საერთაშორისო ფასად ელექტროენერგიის შეძენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ პროექტი განკუთვნილია საექსპორტოდ. არ განიხილება ქვეყნის ენერგოდეფიციტის შევსების ისეთი ალტერნატივები, როგორიცაა ენერგოეფექტურობა და არსებული ჰესების სრული რეაბილიტაცია. არასათანადოდაა განხილული, ასევე, ხუდონჰესის სხვა, ალტერნატიული საინჟინრო გადაწყვეტების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური შედეგები. საქართველოს ენერგო სისტემისთვის ხუდონჰესის განსაკუთრებულ როლზე მსჯელობა აბსურდულია იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას დღემდე არ აქვს განვითარების სტრატეგია და გეგმა, ენერგეტიკის სამინისტროს კი, დღემდე არ შეუმუშავებია ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა; ასევე, 2001 წლის შემდეგ არ შედგენილა ქვეყნის ენერგო-ბალანსი.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხუდონჰესი, ეკონომიკური თვალსაზრისით, გარკვეული, უმნიშვნელო სარგებლის მომტანი იქნება ქვეყნისთვის, რაც გამოიხატება ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების ქვეყნის ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში მობილიზებაში. ასევე, პროექტს ექნება უმნიშვნელო მაკროეკონომიკური სარგებელი, მშპ-ის ზრდის თვალსაზრისით (არა იმ მოცულობით, რაც გზშ ანგარიშშია მოცემული); თუმცა იმ ზარალის ფონზე, რაც აღნიშნული პროექტის განხორციელებით მიადგება რეგიონსა და მთლიანად ქვეყანას, პროექტის სარგებელი მიზერულია.

სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს არც თავად ჩაუტარებია და არც ინვესტორისთვის მოუთხოვია ხარჯებისა და სარგებლის ანალიზის ჩატარება. ზოგადად, როდესაც უცხოური ინვესტიციები დაკავშირებულია მხოლოდ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციასთან, ეს არ ნიშნავს ჯანსაღ და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. მითუმეტეს, როდესაც საქართველოს ზომის ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე სურვილს გამოთქვამენ ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი, რუსეთი და სხვა.

გარემოსთან დაკავშირებული კვლევები ძალზე არასრულყოფილია და არ იძლევა რეალურ სურათს იმისათვის, რომ შეფასდეს პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მიყენებული ზარალი. გზშ დოკუმენტში საუბარია მთელ რიგ შემარბილებელ და საკომპენსაციო ღონისძიებებზე, რომლებიც უცვლელად, ერთი და იმავე წინადადებების სახით გადადის სხვადასხვა ქართველი კონსულტანტის მიერ მომზადებულ გზშ ანგარიშებში (ცოცხალ მცენარეთა გადარგვა შესაბამის საკონსერვაციო ცენტრებში, მცენარეთა გამრავლება ბუნებაში შეგროვებული თესლებით, მცენარეთა ცოცხალი კოლექციების შექმნა საკონსერვაციო ცენტრებში), მაგრამ ფაქტიურად არასოდეს არ სრულდება.

გზშ–ის ანგარიშში განხილულია მხოლოდ ნენსკრაჰესის კუმულატიური ზეგავლენა, თუმცა, არსებული ინფორმაციის თანახმად (ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N125 ბრძანება), ენერგეტიკის სამინისტრო მდინარე ენგურზე გეგმავს ცხრა ჰესის აშენებას, მათ შორის სამი ჰესი - ხაიშიჰესი (670 მგვტ), ფარიჰესი (230 მგვტ) და ტობარიჰესი (250 მგვტ), დიდი, წყალსაცავიანი ჰესებია. გარდა ამისა, ენერგეტიკის სამინისტრომ, მთავრობის სახელით, რამდენიმე დღის წინ დადო მემორანდუმი ნენსკრას შესართავებზე ჰესების მშენებლობის თაობაზე; იგეგმება ჰესების მშენებლობა მდინარე მესტიაჭალაზეც.

ენერგეტიკის სამინისტროს გეგმებიდან და წარმოდგენილი გზშ ანგარიშიდან გამომდინარე, ნათელია, რომ არც ინვესტორი და არც სახელმწიფო არ აპირებენ საკომპენსაციო, ოფსეტური ღონისძიებების განხორციელებას, რაც პირველ რიგში, გულისხმობს ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დიდი ფართობის და მაღალი კონსერვაციული სტატუსის (ნაკრძალი, ეროვნული პარკი) დაცული ტერიტორიების შექმნას და წყალშემკრებების დაცვას. სამწუხაროდ, დღემდე, სვანეთის ტერიტორიაზე არ არსებობს არცერთი კვადრატული მეტრი დაცული ტერიტორია. ამ რეკომენდაციას იძლევა ნიდერლანდების გარემოსდაცვითი შეფასების კომისიაც, რომელმაც ასევე მოითხოვა ხუდონჰესის დამატებითი შესწავლა, მათ შორის ხარჯების და სარგებლის ანალიზი, რაც დაადასტურებდა, რომ პროექტი სახელმწიფოს მოუტანდა სარგებელს და არა ინვესტორს.

ხუდონჰესის პროექტის განხილვებში საზოგადოების მონაწილეობის პროცესთან დაკავშირებული წუხილები

სოფელ ხაიშში 2013 წლის 17 სექტემბერს გამართული საჯარო განხილვის დროს მთელი რიგი დარღვევები დაფიქსირდა. კერძოდ, განხილვის წინა დღეს, 16 სექტემბერს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილესთან ერთად, ხაიშს ეწვია კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას"[6] დირექტორი; ისინი შეხვდნენ ათამდე ადგილობრივ მცხოვრებს. პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ მოითხოვა, რომ საჯარო განხილვისას ადგილობრივებს არ გამოეხატათ პროტესტი პროექტის წინააღმდეგ და არ გამოეფინათ საპროტესტო პლაკატები.

17 სექტემბერს, განხილვის დაწყებამდე რამოდენიმე საათით ადრე, დაიწყო არაადგილობრივი პოლიციელების შეკრება ხაიშის პოლიციის შენობაში. მობილიზებული იყო 40-მდე პოლიციელი, ზოგიერთი მათგანი აღჭურვილი იყო ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღით. განხილვის დაწყებამდე, პოლიციის რამოდენიმე თანამშრომელი შეხვედრის ოთახში განლაგდა. პოლიციელების ასეთი ქცევა მიუღებელია და შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პროექტისადმი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების გაჩუმების მცდელობა.

საჯარო განხილვის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, გამგეობის შენობასთან მივიდა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე და შენობის წინ შეკრებილ ადგილობრივებს განუცხადა, რომ ხუდონჰესი ნებისმიერ შემთხვევაში აშენდება. იგივე გაიმეორა მან შეხვედრის დროსაც, რამაც ძალზე დაძაბა სიტუაცია. იმის ფაქტის გათვალისწინებით, რომ შეხვედრისთვის განკუთვნილი ოთახი იყო ძალზე მცირე და შეხვედრაზე დასწრების ყველა მსურველს ვერ დაიტევდა, შეხვედრა დაგეგმილი შენობის წინ დაიწყო. კომპანიის წარმომადგენლების ნაცვლად, მთავარი მომხსენებელი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე იყო. პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის შენიშვნებისა და მოსაზრებების მოსმენის ნაცვლად, ის ამტკიცებდა პროექტის განხორციელების გარდაუვალობას და ეკამათებოდა ყველას, ვინც პროექტის მიმართ შეშფოთებას გამოხატავდა. ღია ცის ქვეშ სამსაათიანი შეხვედრის შემდეგ, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მოითხოვეს სკოლის შენობაში მიმდინარე შეხვედრის შეწყვეტა, ვინაიდან აღმოაჩინეს, რომ შეხვედრას ძირითადად ინვესტორის წარმომადგენლები, კონსულტანტები, საჯარო მოხელეები და პოლიციელები ესწრებოდნენ. ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა ეს მიუღებლად მიიჩნიეს, ვინაიდან ჩათვალეს, რომ ასეთი სახით განხილვას მათი ინტერესების საზიანოდ გამოიყენებდნენ.

საქართველოს კანონმდებლობით, სახელმწიფომ უნდა შეაფასოს ამგვარი პროექტის უპირატესობები და ნაკლოვანებები, რომლებიც „ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან (საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ). ხუდონ ჰესის მშენებლობის პროექტი სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ამასთან, არსებობს ისეთ კომპეტენტურ ორგანოებზე ზეწოლის ნიშნები, როგორიცაა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომელმაც დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა უნდა გასცეს და ეკონომიკის სამინისტრო, რომელიც მშენებლობის ნებართვას გასცემს. 2013 წლის 16 სექტემბერს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ხუდონ ჰესის პროექტთან დაკავშირებით წინასწარი კომენტარები გამოაქვეყნა[7], რაც მნიშვნელოვან გეოლოგიურ და სეისმურ კვლევას, ასევე განსახლების სამოქმედო გეგმას და პროექტის ხარჯების და სარგებლის ანალიზს მოითხოვს.

[6] Transelectrica.com

[7] http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/10/MoE_Khudoni_HPP_Comments.pdf

სამწუხაროდ, ეს პროცესი სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევით მიმდინარეობს: მაშინ, როდესაც მთელი პროცესი პროექტის განმახორციელებლის მიერ უნდა წარიმართოს, ენერგეტიკის სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლები აქტიურად ერევიან შეფასების და კონსულტაციების პროცესში, პროექტის განმახორციელებლის ნაცვლად პასუხობენ სხვადასხვა დაინტერესებული პირების კითხვებს საჯარო განხილვების დროს ან მედია საშუალებებით და კომპანიის სახელით იძლევიან დაპირებებს. ამას გარდა, ენერგეტიკის სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პროექტის გავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინტერესები სრულად იქნება გათვალისწინებული, მაგრამ ამავე დროს ამისთვის სულ მცირე მზადყოფნასაც კი არ გამოხატავენ. ადგილობრივი მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა პროექტის ალტერნატივის განხილვასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც არ მოხდება სოფლების დატბორვა, კატეგორიულად მიუღებელია სამინისტროსთვის. სამინისტროს წარმომადგენლები (ასევე საქართველოს პრემიერ–მინისტრი) ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, რომ ხუდონჰესის პროექტის განხორციელება მისი შემოთავაზებული ფორმით გარდაუვალია.

დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი პროცედურების უგულებელყოფა, ასევე კომპეტენტურ ორგანოებზე და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებზე ზეწოლის განხორციელება წინა მთავრობის პრაქტიკის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელობა სხვადასხვა ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებაზე გადაწყვეტილებებს ეკონომიკური, სოციალური ან გარემოსდაცვითი შედეგების შეფასების გარეშე იღებდა, მაშინ როდესაც კომპეტენტურ ორგანოებს მხოლოდ ამ გადაწყვეტილებების შესრულება, ანუ ნებართვების გაცემა მოეთხოვებოდათ.

ამას გარდა, ზემოთხსენებულ ზეწოლას ასევე თანსდევს კამპანია იმ პირების და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილი ხუდონჰესის პროექტის მიმართ, რაც მათი რეპუტაციის შელახვას ისახავს მიზნად; პროექტის ოპონენტები მტრულად განწყობილი ქვეყნების აგენტებად და ქვეყნის განვითარების მოწინააღმდეგეებად წარმოჩინდებიან. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს პრემიერ–მინისტრის მიერ 16 სექტემბერს გაკეთებული განცხადება, როდესაც მან პირდაპირ მოუწოდა საზოგადოებას არ მოუსმინონ ოპონენტების განცხადებებს („არ შეიძლება, რომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას ხელი შეუშალოთ. არ დაუჯეროთ ოპონენტებს, რომლებიც ხმაურობენ და მათ მეტი არაფერი არ შეუძლიათ“, განაცხადა მან). ამით პრემიერ–მინისტრმა აჩვენა, რომ ნებისმიერი შენიშვნა ან მოსაზრება, რომელიც თუნდაც მსუბუქად ეწინააღმდეგება მის მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას – „ხუდონჰესი არის ასაშენებელი, როგორც სხვა ბევრი ჰესი“ – მისთვის აპრიორი მიუღებელია.

ასევე შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ პროექტის მხარდამჭერები აცხადებენ, რომ განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდება და განხორციელდება მსოფლიო ბანკის იძულებითი განსახლების პოლიტიკის შესაბამისად; თუმცა, ამ ეტაპზე მსოფლიო ბანკის ყველა პროცედურა დარღვეულია; მათ შორისაა ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობამ უკვე მიყიდა პროექტის სპონსორს 1500 ჰექტარი მიწა 1 აშშ დოლარად, რომელშიც ასევე შედის ხაიშის მაცხოვრებლების არარეგისტრირებული მიწები. კომპანია დათანხმდა, რომ მიწები მფლობელებს დაუბრუნოს მხოლოდ განსახლების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში.

ტრანსპორტის სექტორი

ამონარიდი სამოქმედო გეგმიდან

საგანგებოდ შერჩეული ღონისძიებების და რეფორმების გატარება სარკინიგზო ტრანსპორტის სექტორში

- **სატვირთო გადაზიდვების მომსახურების გაუმჯობესება (საზღვრის გადაკვეთის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით). მულტიმოდალური მომსახურების ხელშეწყობა და ტრანსპორტის ურთიერთავსებადობის საკითხების მოგვარება.**
- **სარკინიგზო ტრანსპორტის სექტორის რესტრუქტურიზების დასრულება;**

2013 წლის განმავლობაში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ტრანსპორტის სფეროში მნიშვნელოვნად შემცირდა, განსაკუთრებით სარკინიგზო სფეროში. ბაქო–თბილისი–ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის პროექტის გაგრძელების ფონზე, შეჩერდა სხვა ორი ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელება - თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის და ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტები.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი

2010 წლის მაისში სს „საქართველოს რკინიგზამ“ (რომლის აქციების 100%–ი სახელმწიფოს მფლობელობაშია) 200 მილიონი ევროს ოდენობის სესხი მიიღო ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან და ევროპის საინვესტიციო ბანკისგან თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასაფინანსებლად. პროექტის მთავარი მიზანია სახიფათო ტვირთების (ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების) ტრანზიტის გადატანა მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიიდან დედაქალაქის ფარგლებს გარეთ, სარკინიგზო ოპერაციების ეფექტურობის და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით. პროექტით გათვალისწინებულია თბილისის ცენტრალური ნაწილის შემოვლითი ახალი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა და “დიდუბისა” და “ნავთლუღის” არსებული სარკინიგზო სადგურების მოდერნიზება. პროექტის თანახმად, გამოთავისუფლებული ტერიტორიების ხელახალი განაშენიანება ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილის განვითარებას შეუწყობს ხელს.

პროექტი დაწყებიდანვე პრობლემატური იყო. ის ითვალისწინებს 18-20 მეტრი სიმაღლის მიწაყრილის მოწყობას ავჭალის მჭიდროდ დასახლებულ დასახლებაში, სადაც იმოძრავებენ სახიფათო ტვირთებით (ნავთობი და ნავთობპროდუქტები) დატვირთული მატარებლები. პროექტში საერთოდ არ არის განხილული მარშრუტის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რის შედეგადაც დაახლოებით 900 ოჯახი თავიანთ მიწაზე შესაბამისი კომპენსაციების გარეშე დარჩა. ასევე, არ არის შესწავლილი მუხრუჭების გამოყენებით მოძრავი მატარებლების მიერ გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება ავჭალის მოსახლეობის საცხოვრებელ გარემოზე. საპროექტო რკინიგზის მინიმალური დაშორება თბილისის ზღვიდან 900 მეტრს შეადგენს. თუნდაც ნახევარი ცისტერნის, ანუ 30 ათასი ლიტრი ნავთობის დაღვრა გამოიწვევს წყალსაცავის სასარგებლო მოცულობის დაახლოებით 50%-ის გაუვარგისებას, რაც სასმელი წყლის გარეშე დატოვებს თბილისის სამი რაიონის მოსახლეობას და გარდაბნის რაიონის დაახლოებით 20 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს.

ამას გარდა, პროექტი არ ითვალისწინებს თანხებს ან რაიმე რეალურ ხარჯებს გამოთავისუფლებული ტერიტორიების სახიფათო ნარჩენებისგან გასაწმენდად, რაც საბოლოო ჯამში შეუძლებელს ხდის პროექტის მთლიანი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიონობის შეფასებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ უარი თქვა ევროპის საინვესტიციო ბანკის სუბსიდირებული სესხის აღებაზე, ხოლო 2011 წლის ნოემბერში EBRD–ის სესხზე თქვა უარი. პროექტის დასრულების მიზნით, „საქართველოს რკინიგზა“ 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ობლიგაცია გამოუშვა (საპროცენტო განაკვეთი 9.875% – ერთ კუპონზე), ასევე იმედოვნებდა, რომ თანხას სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებდა.

2013 წლის იანვარში პროექტის განხორციელება შეწყდა და პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

„საქართველოს რკინიგზის“ ახალი ხელმძღვანელობის განცხადებების თანახმად, პროექტის დასრულება დამატებით ხარჯებს მოითხოვს და ხარჯები ვერ ჯდება წინასწარ განსაზღვრულ პარამეტრებში; ამავე დროს, ისინი შეშფოთებას გამოთქვამენ რკინიგზის დანახარჯების და მატარებლების მოძრაობის მანძილის მნიშვნელოვანი ზრდის გამო ახალი პროექტის ოპერირების შემთხვევაში:

1. წლიური შენახვის და მუშაობის ხარჯები ამ მონაკვეთზე 8.1 მილიონი აშშ დოლარიდან 12.2 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზრდება;

2. მატარებლის გადაადგილების საოპერაციო ხარჯები 3.8 მილიონი აშშ დოლარიდან 5.1 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზრდება (+35%);

3. მანძილი სატვირთო მატარებლებისთვის 50%–ით გაიზრდება (ყოველდღიურად 1280 კილომეტრიდან 1920 კილომეტრამდე), ხოლო ხანგრძლივობა – 150%–ით (ყოველდღიურად 1302 წუთიდან 3242 წუთამდე);

4. ხარჯები მნიშვნელოვნად იზრდება ელექტროენერგიის გაზრდილი ღირებულების გამო 15.998MW/h–დან 32.940 MW/h–მდე წელიწადში;

5. მომდევნო 10 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის შენახვის ხარჯები 126 მილიონი აშშ დოლარიდან 198 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზრდება.

ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტი

2010 წელს დაიწყო ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტი. პროექტი მიზნად ისახავს თბილისიდან შავი ზღვის მიმართულებით მოძრავი მთავარი მაგისტრალის, კერძოდ, ფოთისა და ბათუმის სადგურების მოდერნიზებას. პროექტი ასევე გულისხმობს თბილისსა და ბათუმს შორის მაგისტრალისა (315 კმ) და ელექტრომომარაგების, ასევე 40 კილომეტრიანი უღელტეხილის რეგიონის მოდერნიზებას, სამგზავრო მატარებლის სიჩქარის გაზრდის მიზნით, 80 კმ/სთ-მდე უღელტეხილის მონაკვეთზე და 120კმ/სთ-მდე დანარჩენ მაგისტრალზე, მაშინ როდესაც ამჟამად საშუალო სიჩქარე უღელტეხილის მონაკვეთზე დაახლოებით 55 კმ/სთ-ს, ხოლო დანარჩენ მაგისტრალზე დაახლოებით 65-90კმ/სთ-ს აღწევს.

რკინიგზის მშენებლობას უარყოფითი გამოხმაურება მოყვა რკინიგზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან გარემოსდაცვითი სტანდარტების დაუცველობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხარაგაულის რაიონის სოფლები აპროტესტებენ, რომ სამშენებლო კომპანიამ უკანონოდ განათავსა სამშენებლო ნარჩენები სოფლის საძოვრებზე, მდელოებსა და მდინარის კალაპოტებში. მიუხედავად სოფლის მაცხოვრებლების უამრავი თხოვნისა, ნარჩენების უკანონო განთავსება კვლავ გაგრძელდა. ამას გარდა, კომპანიამ მარშრუტი შეცვალა, რამაც საფრთხეს შეუქმნა ზვარეს მინერალური წყლის საბადოს. 2013 წლის თებერვალში გარემოს დაცვის სამინისტრომ „საქართველოს რკინიგზის“ წინააღმდეგ საქმე აღძრა. ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთა მიწებიც ხელისუფლებამ სახელმწიფო საკუთრებად აღიარა, პრობლემები გაუჩნდა კომპენსაციების მიღებასთან დაკავშირებით.

ურბანულ დაგეგმვასა და ქალაქების მწვანე საფართან დაკავშირებული წუხილები

მწვანე საფარის თემა კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება საქართველოს ყველა ძირითად ქალაქში, მათ შორის თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. ადგილობრივი მოსახლეობა პრეტენზიებს გამოთქვამს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება ქალაქის შუაგულში ხეების, პარკების და სკვერების გაჩეხვაში. ადგილობრივი თვითმმართველობების უმოქმედობის საპასუხოდ, ჩამოყალიბდა პარტიზანული მოძრაობა – მოქალაქეთა ჯგუფმა თბილისში, ქუთაისსა და მესტიაში დაიწყო ხეების და ყვავილების დარგვა იმ ტერიტორიებზე, სადაც ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა ხეების გაჩეხვის ნებართვა გასცა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 16 სექტემბერს, მიუხედავად ხალხის კატეგორიული წინააღმდეგობისა, უამრავი პეტიციისა და ადგილობრივ საკრებულოსთან შეხვედრებისა, თბილისის ადგილობრივმა ხელი-სუფლებამ კუს ტბის მახლობლად რესტორნის მშენებლობაზე ნებართვა გასცა. ამას გარდა, ინვესტორს მიეცა ნებართვა ვაკის გამარჯვების პარკში სასტუმროს მშენებლობაზე, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ამ პარკს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს.

ადგილობრივი მოსახლეობა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ არიან ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ადგილობრივი მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილები მხოლოდ პოსტ ფაქტუმ ხდება ცნობილი.

ადგილობრივი ხელისუფლება არღვევს მის მიერ ხელმოწერილ მერების შეთანხმებას ადგილობრივი ენერ-გეტიკული მდგრადი პოლიტიკის განვითარების თაობაზე, ეომლის თანახმადაც ოლბურგის მოთხოვნების შესაბამისად, ქალაქებმა უნდა იმოქმედონ ურბანული მდგრადობისა და ადგილობრივი დღის წესრიგი 21 -ის პროცესის ფარგლებში. დღეისთვის, თბილისი, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის და გორი შეუერთდა მერების შეთანხმებას.

თბილისის მერიამ მერების შეთანხმების ფარგლებში შეიმუშავა, ე.წ „თბილისის მდგრადი ენერგეტიკის ხელ-შემწყობი სამოქმედო გეგმა 2011–2020 წლებისთვის[8], რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ვალდებულებებს, მათ შორის მწვანე სივრცეების განვითარებას, რომელიც გულისხმობს ბუნების კუნძულების შექმნას და ხეების ინტერსიურად დარგვას. თუმცა, დღემდე სამოქმედო გეგმის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა. თბილისის მუნიციპალიტეტის ქმედება, რომელიც საზოგადოების მონაწილეობის იგნორირებას და ქალაქის მასშტაბით ხეების გაჩეხვას უკავშირდება, ჩვენს შეშფოთებას იწვევს გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით.

[8] http://helpdesk.eumayors.eu/docs/seap/1537_1520_1303144302.pdf

ნაწილი 2. რეგიონული განვითარების სექტორალური დახმარების პროგრამის განხორციელების ზოგიერთ პრობლემატურ საკითხებზე 2012-2013 წლებში

ევროკავშირის საქართველოს ეროვნული ინდიკატორული გეგმის თანახმად, 2010-2013 წლის ერთ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა რეგიონული განვითარება და სიღარიბის დაძლევა, რომელთა ქვე-პრიორიტეტსაც წარმოადგენდა გარემოსდაცვა და მდგრადი განვითარება.

შესაბამისად, 2010 ევროკომისიის მიერ დაფინანსებული რეგიონალური განვითარების სექტორალური დახმარების პროგრამა და მის ფარგლებში მომზადებეული რეგიონალური განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია მოიცავს გარემოსდაცვით მიზნებს, მათ შორის გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის და მდგარდი განვითარების მიმართულებით. ეს საქართველოში პირველი შემთხვევაა როდესაც გარემოსდაცვა და მდგრადი განვითარება მჭიდრო არის ინტეგრირებული სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

2011 წელს დაიწყო სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო სექტორალური დახმარების პროგრამის მომზადება, დაიწყო სტრატეგიის შემუშავება და 2013 წლის იანვარში ხელი მოეწერა პირველ ტრანშს.

ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკის მთავარი პრინციპი ეფუძნება იმ იდეას, რომ მდიდარმა ქვეყნებმა და რეგიონებმა უნდა შეინარჩუნონ სოლიდარობა შედარებით ღარიბ ქვეყნებთან და რეგიონებთან მიმართებაში. ეს ემყარება იმ გამოცდილებას, რომ ღარიბ წევრ ქვეყნებსა და რეგიონებში წარმოების შედარებით დაბალი მოცულობა და უმუშევრობის მაღალი დონე, მთლიანად კავშირისათვის პოტენციალისა და შესაძლებლობების დანაკარგს იწვევს. თანამედროვე ინფრასტრუქტურასა და ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტიციების ჩადება, უკეთესი განათლების მიცემა და ტრენინგების ჩატარება იმ ხალხისათვის, რომლებიც შედარებით სუსტ რეგიონებში ცხოვრობენ, მნიშვნელოვან ახალ ბაზარს უხსნის კარს და ყველა წევრი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს აფართოებს. ამავე დროს, ინტეგრაციის პოლიტიკა ეხმარება ევროკავშირს მთავარი ისტორიული მიღწევების გამყარებაში .

სწორედ იგივე პრინციპებზე დაფუძნებულ რეგიონული განვითარების პოლიტიკას სთავაზობს ევროკავშირი სამეზობლო ქვეყნებს. ევროპის რეგიონული პოლიტიკის მიზანია გადაჭრას რეგიონებში არსებული პრობლემები, მათ შორის არსებული ეკონომიკური უთანასწორობა და გააჩინოს შესაძლებლობები რეგიონების და სოფლის განვითარებისთვის .

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას, რათა დავინახოთ ერთის მხრივ, რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორცილებისას წარმოშობილი პრობლემები, ხოლო მეორეს მხრივ, ადგილობრივ ორგანიზავიებთან ერთად ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების მოთხოვნების ინტეგრირებას როგორც პროექტების ირგვლივ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე პროექტების განხორციელებისას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2012 წლის ბოლოსა და 2013 წლის დასაწყისიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნიციკაცია და საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც რეგიონული განვითარების, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან, აგრეთვე პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების მხრიდან. ამასთან, 2012 წლის ბოლოს რეგიონული განვითარების სამინისტროს არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით წამოიწყო ფართომასშტაბიანი თვითმმართველობის რეფორმა, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების ჩამოყალიბებას და გაძლიერებას მთელი საქართველოს მასშტაბით. 2013 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის ძირითადი პრინციპები, რომელიც განსაზღვრავს გასატარებელ ღონისძიებათა და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე.

ხოლო 2013 წლის ოქტომბერში მთავრობამ ჩამოაყალიბა თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც სრულად ცვლის თვითმმართველობათა დღეს არსებულ სისტემას და შეესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას.

შედეგად, გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და ნაცვლად დღეს არსებული ხუთი თვითმმართველი ქალაქისა (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი), ეს სტატუსი მიენიჭება იმ ქალაქებსაც, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 ათასზე მეტია (მაგალითად, ზუგდიდი, გორი, ოზურგეთი და ა.შ.). თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც ფორმირდება მუნიციპალიტეტები. თვითმმართველი ერთეულების (ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების)

მმართველი რგოლები იქნება არჩევითი. ასევე, განისაზღვრა ფისკალური დეცენტრალიზაციის გრძელვადიანი ხედვა, რაც თვითმმართველობებს მეტ ფინანსურ რესურსს გაუჩენს.

კოდექსით ასევე განსაზღვრულია სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რაც სოფლის მაცხოვრებელთა რეალური საჭიროებების გამოვლენასა და მათ გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ევროკავშირში არსებული ერთ-ერთი მთავარი პრინციპის, სუბსიდიარობის პრინციპის განხორციელებას, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება არა ყველაზე მაღალ არამედ იმ დონეზე, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის სურვილის და მოსაზრების მაქსიმალურ ასახვას გადაწყვეტილების მიღების დროს.

ეს პრინციპი გულისხმობს გარკვეულ ფუნქციათა და კომპეტენციათა განხორციელებას ხელისუფლების მაქსიმალურად დაბალ საფეხურზე. სახელმწიფომ მინიმალური მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოების ურთიერთობათა მართვაში და მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, როდესაც თვითმმართველ ერთეულებს არ შეუძლიათ კონკრეტული საკითხის მოგვარება.

რეფორმის შედეგად, მოხდება ქვეყნის მასშტაბით ქალაქებისა და სოფლების სწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება; ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად დაუახლოვდება საკუთარ მოსახლეობას, რაც გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობის დონეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში; გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი; ადგილებზე სასიცოცხლო ინტერესების გადაწყვეტა გაზრდის საზოგადოების პასუხისმგებლობას.

თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იქნება რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების ზრდა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ფუნქციებისა და კომპეტენეციების გადანაწილება სახელმწიფო და თვითმმართველ ერთეულებს შორის და ფინანსური და ქონებრივი უზრუნველყოფა, არამედ აუცილებელი ხდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მოსამსახურეთა ცოდნისა და შესაძლებლობების ზრდა, მოქალაქეთა ეფექტური ჩართვა ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რეგიონალური განვითარების სტრატეგია ასევე აღიარებს თავის ერთ ერთ მთავარ პრინციპად მონაწილეობისა და სოციალური პარტნიორობის პრინციპებს. მონაწილეობის პრინციპი - გულისხმობს რეგიონული განვითარების სტრატეგიის დაგეგმვის, მიღების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის საჯაროობას, ამ პროცესში მოქალაქეების, დაინტერესებული მხარეების, ორგანიზაციების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ჩართულობას. ხოლო სოციალური პარტნიორობის პრინციპი - გულისხმობს კონსენსუსსა და პარტნიორობაზე დაფუძნებული ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას ყველა დაინტერესებული სუბიექტისთვის (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო ინსტიტუტები, კერძო სექტორი, არასამთავრობო და პროფესიული ორგანიზაციები, აკადემიური წრეები, მოქალაქეთა ჯგუფები).

თუმცა განსხვავებით სხვა პრინციპებისგან, რეგიონალური განვითარების სტრატეგია არ გვთავაზობს მზა რეცეპტებს პარტნიორობის პრინციპის უზრუნველსაყოფად. პარტნიორობის პრინციპი წარმოადგენს ევროპული ფონდების მართვის მთავარ პრინციპს 1989 წლიდან და ვითარდებოდა პრაქტიკის შესაბამისად. სხვადასხვა წევრ ქვეყნებში სხვადასხვანაირად ხორციელდება. ამჟამად არასამთავრობოები ევროკავშირში ჩართულნი არიან, როგორც სახელმწიფო პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში, რომელიც უნდა დაფინანსდეს ევროკავშირის ფონდებიდან, ასევე ადგილებზე მონიტორინგის კომიტეტებში ოპერაციული პოლიტიკების შესრულებისას. ევროკავშირი აღნიშნავს იმ უამრავ სარგებელს და დამატებით ღირებულებას რაც მოაქვს პარტნიორობის პრინციპს, მათ შორის გაზრდილი ვალდებულების გრძნობას ადგილობრივი მთავრობის მხრიდან, უკეთეს დაგეგმარებას, გამჭვირვალობასა და ეფექტურობას.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიის 2011-2017 თანახმად, 2012 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა მცხეთა-მთიანეთის და იმერეთის რეგიონის განვითარების 2012-1017 წლების სტრატეგიები. 2013 წელს კი საქართველოს მთავრობის მიერ მომზადდა და დამტკიცდა გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისდა ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიები. გეგმების მომზადებაში საქართველოს მთავრობას ფინანსური დახმარება გაუწია მსოფლიო ბანკმა, GTZ- მა და სხვა საერთაშორისო დონორებმა.

საქართველოს მთავრობის ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებების 2014-2017 წლების, დოკუმენტის თანახმად, 2014 წლიდან რეგიონული განვითარების პროექტები განხორციელდება რეგიონულ სტრატეგიებზე დაყრდნობით და გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტები:

- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგი;
- საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა.
- თვითმართველ ერთეულებში (გარდა ქალაქ თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) ნაგავსაყრელების მოწყობისათვის საჭირო პოლიტიკის შემუშავება და დაგეგმვა;
- რეგიონებში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის მონიტორინგი

დაგეგმილი პრიორიტეტები შეესაბამება, ევროკავშირის მიერ 2014-2020 წლების ერთიანი დახმარების ჩარჩოს ერთ -ერთ პრიორიტეტს - განვითარება სოფლად და სოფლის მეურნეობა. პრიორიტეტი გულისხმობს, როგორც ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიცირებას, აგრეთვე სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვუთარებას მცირე ქალაქებსა და სოფლებში.

ქვემოთ წარმოდგენილი პროექტების მონიტორინგისას გამოვლენილი დარღვევები და შემუშავებული რეკომენდაციები დაეხმარება როგორც ადგილობრივ მთავრობას, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას პროექტების უფრო გამჭვირვალედ და ეფექტურად დაგეგმვაში.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის რეაბილიტაცია

ფონური ინფორმაცია პროექტზე

საქართველოს მთავრობის N1687 განკარგულებით[9] დამტკიცდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგია. სტრატეგიის დამტკიცების საფუძველს წარმოადგენდა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 14 ნოემბრის დაფინანსების ხელშეკრულების („საქართველოს რეგიონული განვითარების რეფორმის მხარდაჭერა“) მე-2 დანართის (ტექნიკური და ადმინისტრაციული დებულებები).

მცხეთა მთიანეთის განვითარების სტრატეგია 2012-2017 ასახავს, როგორც რეგიონის ეკონომიკური-სოციალური განვითარების შესაძლებელობსა და პოტენციალს, აგრეთვე კონკრეტულად განსახორციელებელი პროექტების სიას. ამ უკანაკსნელთა შორის 2013 წლის ბოლომდე განსაზღვრული იყო მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზის ეტაპობრივი რეაბილიტაცია.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის საგზაო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შეესაბამება საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სტრატეგიას, რომელშიც ქვეყანაში რეგიონული ინფრასქტრუქტურის განვითარების აუცილებელ პირობად სატრანსპორტო სისტემის განვითარებაა მიჩნეული. დოკუმენტის თანახმად, მდგრადი რეგიონული განვითარებისათვის აუცილებელია გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს რეგიონებს შორის საავტომობილო და სარკინიგზო გზებს.

პროექტის განხორციელება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგიის დოკუმენტში. როგორც სტრატეგიაშია ნახსენები, „მიუხედავად იმისა, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბოლო წლებში განხორციელდა საავტომობილო გზების რეაბილიტაციის ღონისძიებები, ამ მხრივ პრობლემები კვლავ რჩება. ეს საკითხი კი, პირველ რიგში, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის, კობი-გუდაურის საგზაო მონაკვეთს გულისხმობს“. ამასთან დოკუმენტში არსებულ პრიორიტეტული პროექტების ჩამონათვალში კობი-გუდაურის საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაციას პირველი ადგილი უკავია და ინფრასტრქუტურულ პროექტებს შორის რეგიონის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვნადაა მიჩნეული.

[9] 2012 წლის 5 სექტემბერი

2013 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კობი-გუდაურის 12 კმ-იანი (კმ.96-კმ.107) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა. ეს უკანასკნელი გზის სავალი ნაწილის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობასა და 3 გვირაბის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა.

გზის ამ მონაკვეთის რეაბილიტაცია ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არ მომხდარა და შესაბამისად ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. იგივე ვითარება იყო არსებული სამი გვირაბის შემთხვევაშიც, რომლებიც გასული საუკუნის 40-იან წლებშია აშენებული.

გვირაბების სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავდა ნახევრად დახურული ტიპის ზვავდამცავი გვირაბების გადახურვას, ჰიდროსაიზოლაციო და სადრენაჟო სისტემების მოწყობას, ნაგებობების ზედაპირის გათავისუფლებას ზედმეტი გრუნტისგან, კონსტრუქციების გაწმენდას და ჰიდროსაიზოლაციო ტორკრეტ-ბეტონის ფენის მოწყობას. ასევე გვირაბებში გზის ზედა ფენის მოხსნას, რასაც მაღალი ავტოტრანსპორტის გამტარიანობა უნდა გაეუმჯობესებინა. კობი-გუდაურის საგზაო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“-მ, ხოლო გვირაბების - შპს „მამისონ“-მა შეასრულა.

გარემოსდაცვითი პრობლემები

პრობლემატური აღმოჩნდა მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ 102+165 - კმ 102+600 მონაკვეთზე არსებული გვირაბის „მაიორშა“ სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის შედეგადაც დაზიანდა ყაზბეგის უნიკალური სიმდიდრე - ტრავერტინები.

ტრავერტინი - ფორიანი, მცირე სიმკვრივის ნახევარკრისტალური მყარი წვრილმარცვლოვანი ქანია, რომელიც წარმოიქმნება ცხელი ან ცივი წყაროებისგან, კალციუმის კარბონატის (უფრო ხშირად არაგონიტის) დალექვის შედეგად. ზედაპირზე იკეთებს არასწორი ფორმის მესერს, რომლის წარმოქმნასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ხშირად შეიცავს მცენარეების ანაბეჭდებს, ხმელეთის ან მტკნარი წყლის მოლუსკების (გასტროპოდების) ნიჟარებს. მეცნიერების განმარტებით, ყაზბეგის მიდამოებში არსებული მინერალური წყლების წარმოშობას სწორედ ტრავერტინების ველი განაპირობებს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრი მინერალური წყალია. გუდაური-კობის საგზაო მონაკვეთზე არსებული ტრავერტინები შეტანილია საქართველოს ტურისტული მარშრუტების სიაში.

აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთზე ზამთრის პერიოდში საზაფხულო გზა იკეტება ზვავისაგან ან ნამქერისაგან ჩამონატანი თოვლით. გვირაბების დანიშნულებაა უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის ალტერნატიული გატარება საზაფხულო გზის ჩაკეტილი მონაკვეთის პერიოდში. აქედან გამომდინარე, გვირაბს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია.

„მაიორშას“ გვირაბი საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო. ვინაიდან ზამთრის პერიოდში გვირაბის შიგნით შეღწეული წყალი და გრუნტის ჩამონატანები გროვდებოდა და იყინებოდა სავალ ნაწილზე, რაც წარმოადგენდა ნაგებობის გაბარიტის შემცირების მიზეზს. გარდა ამისა, ჰიდროსტატიკური ზემოქმედებით გრუნტის წყლები იჟონებოდა კონსტრუქციის ბეტონში და სამშენებლო ნაკერებში და ზამთარში ადგილი ჰქონდა ლოლოების ტიპის ჩამონაყინებს ნაგებობის განივი კვეთის ფარგლებში. ეს ყველაფერი კი, მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდა გვირაბში მოძრავ ავტო-სატრანსპორტო საშუალებებს.

2013 წლის მაისში, გვირაბ მაიორშას შეკეთების დროს მშენებელმა კომპანიამ დააზიანა ე.წ. „ტრავერტინების ველი“, რომელიც ყაზბეგის ტურისტული მარშრუტის პოტენციალს წარმოადგენდა. ეს გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მშენებელ კომპანიას სჭირდებოდა ტექნიკის მიყვანა გვირაბის ზედა კედლების უკანა მხრიდან, რის გამოც ადგილამდე მისასვლელად ტრავერტინების მნშვნელოვანი ნაწილი მოჭრა და მის ადგილზე სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებისთვის საჭირო გზა მოაწყო. პროექტის თანახმად, სამუშაოების განხორციელება უნდა მომხდარიყო გვირაბის ჩრდილოეთი პორტალის მხრიდან. შესაბამისად, საჭირო გახდა ტრავერტინების დაზიანება.

სამუშაოების შედეგად მთლიანად აღებულია 600 ჰა არსებული ტრავერტინის 2 მეტრის ფენა. ფერდობზე დარჩენილი ტრავერტინისკენ მისასვლელი გზა კი ფაქტობრივად აღარ არსებობს. ტრავერტინის ხელახლა გაზრდას ასეულობით წელი დასჭირდება, რადგან მიწიდან ამოსული წყალი აქამდე საკმაოდ დიდ სივრცეზე ნაწილდებოდა, ახლა კი წყალს გასაქანი აღარ ექნება.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელი იყო ამ სამუშაოების განხორციელება გვირაბის სამხრეთ პორტალის მხრიდან დაწყებულიყო და ტექნიკას სწორედ ამ მხრიდან ემოძრავა. ამ შემთხვევაში ტრავერტინების მხოლოდ მცირე ნაწილის დაზიანდებოდა გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს განცხადებით, ტრავერტინები არ წარმოადგენდა ბუნების დაცულ ძეგლს და შესაბამისად მშენებელი კომპანია არ იყო ვალდებული აეღო გარემოსდაცვითი ნებართვა. იგივე განაცხადა რეგიონული განვითარების სამინისტრომაი, რომლის თანახმადაც ეს არ იყო დაცული ძეგლი, არამედ გვირაბის საექსპლუატაციო გზა, შესაბამისად კომპანიას არ სჭირდებოდა ნებართვა.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ, ხაზს უსვამს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ბუნდოვანებას და სისუსტეს.

აღსანიშნავია, ისიც რომ საქართველოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით (გზაგამტარი გვირაბის საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგება) და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) განსაზღვრულ საქმიანობა მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამასთან, იმავე კანონის მე-5 მუხლის (გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები) შესაბამისად, ყველა იმ საქმიანობის წარმოებისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ კანონის ეს ნორმა ძალაშია 2007 წლიდან, გარემოს დაცვის სამინისტროს დღემდე არ შეუმუშავებია გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც დააწესებდა გარემოსდაცვით მოთხოვნებს საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროექტებისთვის.

მართალია ეს ობიექტი არ წარმოადგენდა ბუნების ძეგლს, მაგრამ წლების განმავლობაში იყო მცდელობა ამ ობიექტის შეტანის „„ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონით, რომლითაც დაცული ობიექტების სია 2011 წელს გარემოსდაცვის და ენერგეტიკის სამინისტროს ერთობლივი მცდელობების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო გაურკვეველი მიზეზების გამო, კანონის მიღება დღემდე ვერ მოხერხდა . შესაბამისად, საქართველოს ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი, მსგავსად ტრავერტინებისა, კვლავ განადგურების საფრთხის ქვეშაა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე რეაბილიტაციის პროექტები

ფონური ინფორმაცია

ბალნეოლოგიური კურორტი წყალტუბო ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ პოპულარული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. აქ არსებული თერმულ-რადიონული მინერალური წყალი კურნავს სხვადასხვა სახის 60-მდე დაავადებას. წყალტუბომ ბალნეოლოგიური კურორტის სტატუსი 1920 წლიდან შეიძინა. კურორტის ერთ-ერთ ღირსესანიშნაობას წარმოადგენდა მისი პარკი, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილს მოიცავს და მისი საერთო ფართობი 74 ჰექტარს შეადგენს. პარკი გასული საუკუნის პირველ ნახევარში დაპროექტდა და იგი დღემდე თითქმის უცვლელადაა შემორჩენილი. ათეული წლებია პარკში რაიმე სახის სამუშაოები არ განხორციელებულა. არ განახლებულა მწვანე საფარი. ენერგო კრიზისის პერიოდში პარკი საგრძნობლად დაზიანდა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. მისი ძირითადი ფუნქცია მხოლოდ პირუტყვის საძოვრად გამოყენება გახდა.

იმის გამო, რომ არ მიმდინარეობდა შეკეთებითი სამუშაოები, მოიშალა ყველა სახის ინფრასტრუქტურა: დაზიანდა პარკის ირგვლვ არსებული არხები და მასზე გადასასვლელი ხიდები. სარეველებმა დაფარეს ბილიკები და პარკში არსებული კიბეები. დაზიანდა მწვანე საფარი და მოედნები. დღემდე წყალტუბოში ჩამოსული მცირერიცხოვანი დამსვენებელი პარკის მხოლოდ იმ ნაწილს იყენებდა, სადაც აბაზანები არის განთავსებული. დანარჩენი ტერიტორია უფუნქციოდ დარჩა.

იმერეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგიის თანახმად ტურიზმისა განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია წყალტუბოს რეაბილიტაცია და მისი განვითარება არა მხოლოდ როგორც ბალნეოლოგიური კურორტის განვითარება. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ბიუჯეტში ასახა ყველა იმ სამუშაოთა ჩამონათვალი, რაც რეაბილიტაციის მიხედვით განისაზღვრა. სამუშაოების განხორციელება დაევალა მუნიციპალური განვითარების ფონდს.

სამუშაოთა ღირებულება 38,2 მლნ. ლარს შეადგენდა და ის მოიცავდა:

- ქ.წყალტუბოს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- წრიული გზის სანიაღვრე სისტემის და წრიული გზის საფარის რეაბილიტაცია;
- ქ. წყალტუბოს „ცივი“ ტბის და ცენტრალური პარკის გზების, ბილიკების და სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია;

- წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და ცივი ტბის ტერიტორიის გამწვანება/კეთილმოწყობა და სარწყავი სისტემის მონტაჟი;
- ქ. წყალტუბოში"ცივი" ტბის და ტბიდან გამყვანი არხების რეაბილიტაცია;
- წრიული გზის, ცენტრალური პარკის და ცივი ტბის ტერიტორიაზე გარეგანათების რეაბილიტაცია;
- ქ.წყალტუბოს კურორტის მართვის ოფისის, პარკში და ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე ზომის ტურისტული შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- ქ. წყალტუბოს ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობებისა და მცირე ზომის საფეხმავლო ხიდების რესტავრაცია;

2012-2013 წლებში დაგეგმილი ყველა სამუშაო შეთანხმებულია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის იმ საჭიროებიდან გამომდინარე რაც აუცილებელია კურორტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისაკენ და მიმართულია მისი შემდგომი განვითარებისკენ. მიმდინარე ეტაპზე რეაბილიტაცია შეეხო ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, სადაც თავმოყრილია როგოც სასტუმროები, ისე სამკურნალო და დასასვენებელი ობიექტები.

წყალტუბოს ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის შესახებ 2012 წელს გამგეობის შენობაში მოეწყო პროექტის საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდენენ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე მოსახლეობის წარმომადგენლები. საყურადღებოა, რომ პროექტებში შეტანილი ცვლილებების შემდეგ ანალოგიური სახის განხილვის თაობაზე ინფორმაცია არ გავრცელებულა.

გამართული საჯარო შეხვედრის დროს ძირითადი ყურაღება გამახვილდა წყალტუბოში არსებული სამკურნალო წყალის თვისებებზე და დებიტის დადგენის აუცილებლობაზე. სპეციალისტებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს რეაბილიტაციის პროცესის დაწყებამდე წყლის გამოყენების სრულფასოვანი გეგმის შემუშავება.

წყალტუბოს გამგეობის მაღალჩინოსანთა განცხადებით, რეაბილიტაციის პროცესი აბსოლუტურად პასუხობს ყველ იმ მოთხოვნას, რომელთა გათვალისწინებაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იქნა დაყენებული. გამგეობაში განმარტავენ, რომ წარმოდგენილი სახით რეაბილიტაციის პროექტი სრულად ჯდება ქალაქის განაშენიანების გეგმაში.

გამგებლის მოადგილის, დავით ჩირგაძის განცხადებით, პროექტების მომზადების დროს და მიმდინარე ეტაპზეც სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილია გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურე-ბის ხელმძღვანელები. მისივე ინფორმაციით, წარმოებული სამუშაოების თაობაზე მუნიციპალური განვითარების ფონდი სისტემატურად აწვდის ინფორმაციას ადგილობრივ ხელისუფლბას.

კურორტის რეაბილიტაციის პროცესი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო, თუმცა არჩევნების შემდგომ პროექტებში მოხდა მთელი რიგი ცვლილებების შეტანა. მუნიციპალური განვითარების ფონდში განმარტავენ, რომ არასრულყოფილად და ნაჩქარევად მომზადებული პროექტები საჭიროებდა კორექტირებას, ხოლო რამოდენიმე ფონდის ახალი მენეჯმენტის მოთხოვნით სრულად შეიცვალა. მაგალითად შეიცვალა სანიაღვრე- სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციის პროექტი, რადგან ფონდში ჩათვალეს, რომ მისი წარმოდგენილი სახით განხორციელებას შესაძლოა მოყოლოდა თერმული წყლების დაბინძურება. სწორედ ამიტომ მგფ-მა აღნიშნული პროექტი შეაჩერა და მოხდა ხელახალი ვერსიის მომზადება, რამაც სამუშაოთა წარმოება გარკვული დროით გაახანგრძლივა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველი პროექტების მიხედვით შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, მხოლოდ გარე ფასადების მოწესრიგება იყო დაგეგმილი. ფონდის ახალმა მენეჯმენტმა ადგილობრივ თვით-მართველობასთან შეთანხმებით მოახდინა კორექტირება და ფასადებთან განხორციელდება შენობების შიდა კეთილმოწყობაც, რაზეც ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტების მომზადება და სავარაუდოდ მომავალი წლიდან სამუშაოები განახლდება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროექტებიდან ყველა წარმოადგენს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბი-ლიტაციას. გასული საუკუნის 50 -იანი წლების შემდეგ ქალაქში არ მომხდარა წყლის სიტემისა და კანა-ლიზაციის სრული რეაბილიტაცია და შეკეთებები მხოლოდ ლოკალური ხასიათისა იყო. ამჟამად გან-ხორციელებული სამუშაოების მიხედვით განხორციელდა სისტემის სრული შეცვლა არსებულის მცირე კორექტირებით.

წყლის სისტემის და კანალიზაციის რეაბილიტაციის სამუშაოები უკვე დასრულებულია. განხორციელდა სატესტო გაშვებაც. ოქტომბრის ბოლოსთვის ნავარაუდევია მისი ფუნქციონირების დაწყება.

რაც შეეხება ცენტრალურ პარკის და ცივი ტბის რეაბილიტაციის პროექტებს: იმის გამო, რომ არ მოხდეს არსებულ ლანდშაფტში უხეში ჩარევა, დაგეგმილია მხოლოდ მცირე ზომის არქიტექტურული შენობების, გოლფის მოედნის, ტენისის კორტის და დასასვენებელი ზონების მოწყობა, შენარჩუნდება ყველა ხე და ბუჩქი.

მოეწყობა ბილიკები და მოედნები. გათვალისწინებულია ასევე დეკორატიული მცენარეების დარგვა და ყვავილნარების მოწყობა. მოხდება მხოლოდ გამხმარი ან დაავადებული მცენარეების მოჭრა. ამ ეტაპზე აღნიშნული სამუშაოების შესრულება არ არის დაწყებული, თუმცა მისი გარკვეული ნაწილი გეგმის მიხედვით უკვე განხორციელებული უნდა იყოს. შესაბამისად , ჯერჯერობით შეუძლებელია იმის დადგენა შესრულდება თუ არა სამუშაოები მწვანე საფარის დაზიანების გარეშე.

სამუშაოები დაწყებულია ცივი ტბის მიდამოებში. დაგუბებიდან დღემდე არ მომხდარა ტბის გაწმენდა, მისი ფსკერზე დალექილია დიდი ოდენობით შლამი. ამჟამად სპეციალური ტექნიკის გამოყენებით მიმდინარეობს გაწმენდითი პროცესი, რომლის დასრულების შემდეგ, პროექტის თანახმად, იგეგმება ტბის ირგვლივ დასასვენებელი ობიექტების განთავება.

დემონტაჟს არ ექვემდებარება და შენარჩუნდება ცივი ტბიდან გამომავალი არხები, საიდანაც გამოსული წყალი ასევე არხების მეშვეობით ისევ ცენტრალური პარკის ირგვლივ იმოძრავებს. ამ პროექტის შენარჩუნება მნიშვნელოვანი იყო, რადგან თავის დროზე პარკის ირგვლივ აშენებული არხების ძირითადი ფუნქციას წვიმიან ამინდში ქალაქის დატბორვისაგან დაცვა წარმოადგენდა, რაც მანამდე სისტემატურად ხდებოდა და იწვევდა თერმული წყლების დაბინძურებას. დაზიანებული არხები წარმოადგენდა ანტისანიტარიის კერას და ამავე დროს ვერ უზრუნველყოფდა წყლის შეკავებას და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მინერალურ წყალს. მისი რეაბილიტაციის შემდგომ აღნიშნული საშიშროება აღარ იარსებებს.

პროექტების შესრულების ვადებთან დაკავშირებული პრობლემები

კურორტის რეაბილიტაციის პროცესში დარღვეულია სამუშაოთა წარმოების ვადები. მუნიციპალური განვითარების ფონდში ყოველივეს კონტრაქტორების მძიმე ფინანსური მდგომარეობით ხსნიან, რაც მათივე განცხადებით გამოწვეულია წინა ხელისუფლების მიერ მათზე განხორციელებული ზეწოლით. კერძოდ, წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო მოხელეების მხრიდან კერძო კომპანიებზე ზეპირსიტყვიერად ხდებოდა სხვადასხვა ობიექტებზე ხელშეკრულების გარეშე სამუშაოთა წარმოების შესახებ დავალებების გაცემა, რაც მათ ფინასურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახებოდა.

ფონდიდან მიღებული განმარტებით, შპს „სანი“-ს მიმდინარე წლის ივლისში შეუწყდა კონტრაქტი „ქ. წყალტუბოს ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობებისა და მცირე ზომის საფეხმავლო ხიდების რესტავრაცია“-ზე, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ კონტრაქტორმა ვეღარ უზრუნველყო კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება სახსრების უქონლობის გამო.

ვადების გადაწევას იწვევს ისიც, რომ ერთი კონტრაქტორის მიერ შეჩერებული სამუშაო გავლენას ახდენს მეორეზე და შესაბამისად იწვევს საერთო ჩამორჩენას.

მაგალითად, შპს „მწვანე სახლი“-ს გაფორმებულია აქვს კონტრაქტი წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და ცივი ტბის ტერიტორიის გამწვანება/კეთილმოწყობის და სარწყავი სისტემის მონტაჟის თაობაზე. თუმცა ვერ ხერხდება სამუშაოების დაწყება მანამ, სანამ არ დასრულდება გზებისა და ბილიკების, ასევე სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემების რებილიტაცია.

ჩამორჩენას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ნალექიანი გაზაფხულ-ზაფხულითაც ხსნიან. მათი განმარტებით აღნიშნულის გამო მშენებლებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

გარემოსდაცვითი საკითხები

მუნიციპალური განვითარების ფონდის და მსოფლიო ბანკის მოთხოვნის შესაბამისად რეგიონული განვითარების მეორე პროექტის (იმერეთი) ფარგლებში მომზადებულია EMF (Environmental Management Framework), რომელიც მოიცავს გარემოსდაცვით, კულტურულ და სოციალურ ასპექტებს.

ვინაიდან სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ითვალისწინებს მწვანე საფარის ხელყოფას, რაც უარყოფითისკენ შეცვლიდა წყალტუბოში არსებულ ლანდშაფტს ან რაიმე სახის მიწის სამუშაოების წარმოებას, რაც ზიანს მიაყენებდა თერმულ წყლებს, გარემოსდაცვითი კუთხით პროექტის მიდინარეობისას რაიმე სახის სერიოზული დარღვევები ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა. გარკვეული პერიოდი რთული ვითარება შეიქმნა ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო კონკრეტულ კომპანიასთან ხელშეკრულების არარსებობის გამო, თუმცა ეს საკითხი დღეს დღის წესრიგიდან მოხსნილია. ამასთან, გარემოს დაცვის სამინისტრო რეგულარულად ახორციელებს მონიტორინგს და რაიმე სახის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ რეაგირებს მასზე.

საჩივრები და მათზე რეაგირება

მიმდინარე წლის ივლისში წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა საჩივრით მიმართა მუნიციპალური განვითარების ფონდს სარეაბილიტაციო სამუშაოების დაბალი ტემპით განხორციელების გამო. როგორც წერილში იყო მოყვანილი, ყოველივე ეს ხელს უშლის ტურისტული სეზონის მიმდინარეობას.

მგფ-იდან მიღებული განმარტებით, ფონდის მენეჯმენტმა დააწესა მკაცრი კონტროლი სამუშაოების განხორციელების გრაფიკებზე და ადგილზე მიავლინა თავისი წარმომადგენლები ყოველდღიური მონიტორინგისთის. ყოველკვირეულად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტის ჩართვით ეწყობა შეხვედრები მშენებელ ორგანიზაციებთან, სადაც ჯამდება გაწეული საქმიანობა და იგეგმება მომავალი კვირის ამოცანები.

ინფრასტრუქტურული პროექტები ადიგენში

ფონური ინფორმაცია

ადიგენის მუნიციპალიტეტი სამცხე-ჯავხეთში ყველაზე ცუდი ინფრასტრუქტურის მქონე რაიონია. 2013 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტმა რეგიონული განვითარების სამინისტროს დაფინანსების მოთხოვნით რვა პროექტია წარდგენილი, რომელთა ღირებულება ჯამში 9,636,354 ლარს შეადგენდა. გაგზავნილი პროექტების უმეტესობა გზის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ადიგენის მუნიციპალიტეტს მხოლოდ სამი პროექტის დაფინანსება გამოუყო 2013 წელს. ამასთან, მხოლოდ ორი პროექტის განხორციელებაა დაწყებული, ხოლო მესამეს ბედი გაურკვეველია.

წარდგენილი პროექტების მიხედვით, დაბა აბასთუმანში მდინარე ოცხეს ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის 292,616 ლარი იყო გათვალისწინებული; სოფლების, ქვემო ენთელისა და ფხეროს გზების რეაბილიტაცია, რომელიც გზის ცხრა კილომეტრიანი მონაკვეთის მოასფალტებას გულისხმობდა და ოთხ სოფელს მოემსახურებოდა, 2,010, 362 ლარი ჯდებოდა; სოფელ ბოლაჯურის სასმელი წყლის რეაბილიტაციისთვის 209,806 ლარი იყო ნავარაუდები; 866,771 ლარს ვარხანი - წახანის გზის რეაბილიტაციისთვის ითხოვდნენ; ასევე გზის რეაბილიტაცია უნდოდათ ვარხანსა და ხევაშენში, რომლისთვისაც 634,444 ლარი იყო გათვალისწინებული; 2,514,724 ლარით ადიგენი - წრე - პატარა ზანავი - დიდი ზანავი - გომაროს გზა შეკეთდებოდა; 2,935,880 ლარი მლაშე - მოხის გზის რეაბილიტაციას ესაჭიროებოდა; ჩორჩანის ტერიტორიული ორგანოს სოფლების სასმელი წყლის რეაბილიტაციისთვის კი გათვალისწინებული იყო 171 751 ლარი.

დააფინანსებული პროექტების ჯამური ღირებულება 1.727 255 ლარს შეადგენს. „19 აგვისტოს #1085 დადგენილებით დაფინანსდა ადიგენი-წრე-პატარა ზანავი-დიდი ზანავი-გომაროს ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია 902,120 ლარი, ვარხანი-ხევაშენი-ნაქურდევის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია 559.500 ლარი, სოფელ ბოლაჯურში სასმელი წყლის რეაბილიტაცია 213.335 ლარი. გარდა ამისა გამოყოფილ იქნა , 52 300 ლარი საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად .

ვარხანი-ხევაშენი-ნაქურდევის გზის რეაბილიტაციისთვის ხელშეკრულება, 12 სექტემბერს, შპს „ასტორიასთან“ გაფორმდა. გზის მოასფალტება ოქტომბრის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

10 ოქტომბრისთვის იგეგმება ხელშეკრულების გაფორმება იმ კომპანიასთან, რომელმაც სოფელ ბოლაჯურში სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შეასრულოს. აღნიშნულ პროექტზე ტენდერი უკვე გამოცხადებულია, გამარჯვებული 26 სექტემბერს გამოვლინდა.

სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისთვის სამინისტროდან გამოყოფილ თანხას, ადგილობრივებმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ თანხა 20.084 ლარიც დაამატეს.

ამ დრომდე ვერ ფორმდება ხელშეკრულება ადიგენი-წრე-პატარა ზანავი-დიდი ზანავი-გომაროს ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაციის დასაწყებად. აქ საკამათო საკითხი ტენდერი გახდა.

ტენდერი, რომელიც დავის საგანი გახდა

გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ორი შპს, „ეფექტი“ და „ასტორია“ მონაწილეობდა. გამგეობაში განმარტავენ, რომ ტენდერში ნაკლები თანხით, შპს „ეფექტმა“ გაიმარჯვა. საკვალიფიკაციო მონაცემების დაუზუსტებლობის გამო კი ხელშეკრულების გაფორმება შპს „ასტორიასთან“ გადაწყდა. მაგრამ შპს „ეფექტის“ ხელმძღვანელმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში საჩივარი შეიტანა, რის გამოც ტენდერი შეჩერდა.

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის განცხადებით, ტენდერი 15 აგვისტოს გაიმართა, ხოლო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი იყო შპს „ეფექტი“, რომელსაც მოეთხოვა კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცდილების შესახებ მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემის დაზუსტება სამი დღის ვადაში. წერილში აღნიშნული იყო საბუთების წარმოუდგენლობა გამოიწვევდა მათ დისკვალიფიკაციას, და ვინაიდან არ იქნა წარმოდგენილი საბუთები მოხდა მათი დისკვალიფიკაცი და მოწვევა გაეგზავნა მომდევნო პრეტენდენტს.

თუმცა შპს „ეფექტის“ ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ მათ საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტება არ ეკუთვნოდა, ვინაიდან არ გააჩნდათ სამწლიანი გამოცდილება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საჩივრის განხილვის შედეგად, საქმე შპს „ეფექტის” სასარგებლოდ გადაწყვიტა და ამის შესახებ ოფიციალური პასუხი ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 23 სექტემბერს მიიღო. შესაბამისად, შპს ეფექტს მოეთხოვა დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა. ტენდერის შესაბამისად, შპს „ეფექტმა“ 824 986 ლარით 23 400 კვადრატული მეტრი გზა უნდა დააგოს.

უგზოობა და სოციალური პრობლემები

პროექტის გადავადების შედეგად შესაძლოა პროექტის განხორციელება წელს ვეღარ მოასწროს. როგორც ამას აცხადებს გამგეობა, რომ ზამთარში გზის მშენებლობა წარმოუდგენელია.

იგივე განაცხადეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტში. მათი განმარტებით, აქვთ სრული ინფორმაცია ადიგენში ტენდერთან დაკავშირებულ პრობლემებზე. თუმცა, სამინისტროში მართლებულად აღნიშნეს, რომ დავა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადასაწყვეტია და სამინისტრო ვერ ჩაერევა, მიუხედავდ იმისა რომ ამან გამოიწვია პროცედურების შეჩერება და პროექტის შესაძლო გადავადება. სამინისტროს განმარტებით, თუ კონტრაქტი დროულად ვერ გაფორმდა, სამინისტრო ზამთრის პერიოდში გზის დაგების უფლებას აღარ მისცემს: „სამინისტრო ყველაზე დიდ ყურადღებას ხარისხს აქცევს. ზამთარში გზას ვერ დავაგებინებთ, ამ შემთხვევაში შეიძლება ნება დართოს ფინანსთა სამინისტრომ და ჩვენც, რომ პროექტი გახდეს ორწლიანი“.

აღსანიშნავია, რომ ადიგენის რაიონის მაღალმთიანი სოფლები, სადაც გზა უნდა გაკეთებულიყო, მიუვალია უგზოობის გამო და ზამთარში ცენტრს ხშირად წყდება. „ჩვენი მთავარი პრობლემა გზაა, რომელიც ისეა გაფუჭებული, უკვე პატარა მანქანები სოფლამდე ვეღარ მოდიან. ახლა მოთოვს და გზაც საერთოდ ჩაიკეტება“, - ამბობს პატარა ზანავში მცხოვრები გუგული ხოზრევანიძე. სოფელს რომ ყველაზე მეტად გზა სჭირდება ამაზე დიდ ზანავში მცხოვრები ამირან ხოზრევანიძეც საუბრობს: „მთავარია გზა გაგვიკეთონ თორემ ისე უკვე ისე დაიხრამა, შეიძლება აქ ზამთარში კი არა ზაფხულშიც ვეღარ ამოხვიდე“. სავარაუდოდ გზის გარეშე, სამი სოფელი კიდევ ერთ წელს დარჩება და თუ მაინც წელს პროექტის განხორციელებას გადაწყვეტენ, მაშინ ეჭვქვეშ მისი მშენებლობის ხარისხი დადგება.

ქალაქ თეთრიწყაროს ქუჩების რეაბილიტაციის პროექტი

ფონური ინფორმაცია

ქ. თეთრიწყაროში 2013 წლის აგვისტო-სექტემბერში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტის - ქალაქის 7 ქუჩის რეაბილიტაციის - მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობის - მონიტორინგი.

პროექტი სრულად შეესაბამება რეგიონული განვითარების სტრატეგიას, დაფინანსდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხოლო შესყიდვები განახორციელა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. პროექტის საერთო ღირებულებამ 993 637,26 ლარი შეადგინა (საპროექტო დოკუმენტაცია - 3750 ლარი, ყაზბეგის და 9 ძმის ქუჩები - 16592,45 ლარი დანარჩენი 6 ქუჩა - 973 294,81 ლარი).

აღსანიშნავია, რომ თეთრიწყაროს ეს ქუჩები არასოდეს ყოფილა მოწყობილი ქალაქისთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურის შესაბამისად და საჭიროება სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელებისა მაღალი იყო.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პროექტთან მიმართებაში

მიუხედავად პროექტის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, მისი განხორციელების თაობაზე ადგილობრივი მოსახლეობა და დაინტერესებული საზოგადოება წინასაპროექტო პერიოდში ინფორმირებული არ ყოფილა. უფრო მეტიც, სამუშაოების დაწყების თაობაზე ინფორმირებული არ ყოფილა არც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ადგილობრივი ოფისი, რაც უწყებათაშორისი კომუნიკაციის არარსებობაზე მიუთითებს.

ინფორმაციის ამ დეფიციტმა სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორცილებისას შექმნა შემდეგი პრობლემები:

1. მოქალაქეები, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც არ იყო მიერთებული ქალაქის წყალარინების ქსელთან ან სასმელი წყლის ქსელთან აღმოჩნდენ რთულ მდგომარეობაში. მათ მოუწიათ თანხების მობილიზება ექსტრემალურ დროში ქსელთან დაკავშირებისთვის. გამომდინარე ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან, ყველა მოქალაქესთვის არ იყო ხელმისაწვდომი ეს მომსახურება, და შედეგად არაერთმა მოქალაქემ თავისი საცხოვრებელი სახლი თვითნებურად მიუერთა ქსელს. არაკვალიფიციური მიერთება (ან მიერთების გარეშე დარჩენილი მოქალაქეების არსებობა) სასმელი თუ წყალარინების ქსელთან, ცხადია, ზრდის სავარაუდო დაზიანების საფრთხეს და ასევე ზრდის იმის შანსსაც, რომ ახლადრეაბილიტირებული გზის მონაკვეთები შესაძლოა ისევ გადაითხაროს.

2. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თეთრიწყაროს ოფისი არ ფლობს სასმელი წყლისა და წყალარინების ქსელზე ახალი აბონენტის მიერთებისათვის საჭირო მასალასა და ტექნიკას, ის უწყებრივად ექვემდებარება ბოლნისში მდებარე შესაბამის ოფისს და შედეგად, თვითონაც ექსტრემალურ პირობებში მოუხდა იმ მოქალაქეთათვის მომსახურების გაწევა, რომლებმაც ქსელზე მიერთების საფასური გადაიხადეს.

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ვადები

პროექტის დაწყების და დასრულების ვადები ოფიცილურად უცნობია. საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის თობაზე ტენდერი თეთრიწყაროს თვითმმარელობის მიერ გამოცხადდა 2013 წლის 29 აპრილს, სამშენებ-ლო კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში სამუშაოების დასრულების თარიღად დასახელებულია 2013 წლის 21 ოქტომბერი, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი თითოეული ქუჩისათვის გაფორმებულია 2013 წლის 1-ელ ოქტომბერს. ამავე დროს, თეთრიწყაროს თვითმმართველობის ხელმძღვანელი (საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი მესტვირიშვილი) 18 ოქტომბერს აფორმებს შე-თანხმების ოქმს სამუშაოების შემსრულებელ კომპანიასთან, რომლის მე-3 პუნქტის თანახმადაც სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 9 ნოემბერი . გაუგებარია, თუ რატომ ჩაიბარა წლის 2013 წლის 1-ელ ოქტომბერს ადგილობრივმა თვითმმართველობამ შესრულებული სამუშაოები, ვინაიდან ადგილზე დათვალიერებამ 11 ნოემბერს აჩვენა, რომ სამუშაოები ცალკეულ უბნებზე დასრულებული ჯერ კიდევ არ ყოფილა.

საზოგადოების მონაწილეობა

აღსანიშნავია, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ პროექტთან დაკავ-შირებული ინფორმაციის მოთხოვნისთანავე (ადმინისტრაციული ვადების დაცვით) მოსთხოვა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს გაეცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. თავის მხრივ ადგილობრივმა თვითმმართველობამ მართალია ადმინისტრაციული ვადების დარღვევით, მაგრამ საბოლოოდ გასცა ეს ინფორმაცია.

ამასთან, როგორც აღმოჩნდა, ინფორმაცია ისედაც განთავსებულია და ხელმისაწვდომია კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე.

სამწუხაროა, რომ ამ სარეაბილიტაციო პროექტის განმახორციელებლებს არ უზრუნიათ პროექტის საჯარო განხილვების მოწყობისთვის, რაც საშუალებას მისცემდა ადგილობრივ მოქალაქეებს ჩართულიყვნენ მისი დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე, რის შედეგადაც, უფრო გონივრულად დაიგეგმებოდა სანიაღვრე არხების, ტროტუარების მოწყობის სქემაც, და არხებზე ცხაურების განთავსების საკითხიც.

ამასთან, პროექტის დამკვეთი (ადგილობრივი თვითმმართველობა) ვალდებული იყო დაეცვა საქართვე-ლოს რეგიონული განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი მონაწილეობის პრინცი-პი, რაც გულისხმობს „რეგიონული განვითარების სტრატეგიის დაგეგმვის, მიღების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის საჯაროობას, ამ პროცესში მოქალაქეების, დაინტერესებული მხარეების, ორგა-ნიზაციებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ჩართულობას“. თეთრიწყაროში განხორციელებული რეაბილიტაციის მაგალითზე ეს პრინციპი უხეშად დარღვეულია.

სარეაბილიტაციო პროექტისთვის განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის თაობაზე გამოცხადდა 2013 წლის 29 აპრილს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა სუბიექტმა: „ვნვ და კომპანიამ“ კომპანიამ LMC და კომპანიამ „არიში“. ტენდერის შედეგად შეირჩა კომპანია „არიში“, რომელთანაც თეთრიწყაროს თვითმმართველობამ 13 მაისს გააფორმა 3750 ლარის ღირებულების ხელშეკრულება. სატენდერო კომისიამ არ გაითავლისწინა კომპანიის გამოუცდელობა და არაპროფესიონალიზმი, რაც შემ-დგომში განხორციელებულმა სარეაბილიტაციო პროექტმაც ნათლად აჩვენა.

კომპანია „არიშს“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში წარმატებული მონაწილეობის გამოცდილება აქვს. 2013 წლის 13 თებერვალს დაფუძნებული კომპანია მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ 15 მარტს გამოცხადებული ტენდერის ერთადერთი მონაწილე და გამარჯვებულია, შემდეგ ტენდერში ის 18 აპრილს იმარჯვებს და ა.შ. თუმცა, სხვა მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებული ტენდერებით შპს „არიში“ სახელმწიფო დაკვეთებს ვერ იღებს.

თითოეულ შემთხვევაში, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების თანახმად, კომპანიას უნდა წარედგინა მსგავსი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი: „პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილება, რისთვისაც მან უნდა წარმოადგინოს: ინფორმაცია საწარმოს მიერ იდენტური მომსახურების (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) გაწევის შესახებ, დანართი N2-ის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული საწარმოს ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)“. თეთრიწყაროს თვითმმართველობამ კომპანიასთან გაფორმებული პირველივე ხელშეკრულება თავისივე მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენის გარეშე გააფორმა. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე ასეთი დოკუმენტი არ იძებნება „არიშის“ტენდერში გამარჯვების არცერთ შემთხვევაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია „არიშის“ მიერ მომზადებული საპროექტო დოკუმენტაცია არაპროფესიონალურად იყო მომზადებული. მაგ; „საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად მშენებლობის ხანგრძლივობა (მთლიანი) არის 80 თვე “. ამასთან, სარეაბილიტაციო სამუშაოები ყველა ქუჩაზე დაიწყო და დასრულდა 1-1.5 თვეში. გარდა ამისა, ამავე დოკუმენტის თავში, სახელწოდებით „ზოგადი სპეციფიკები“, პუნქტში 1.7 „გეოლოგიური ინფორმაცია“ ვკითხულობთ, რომ „ქ. ქუთაისი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას“.

ეს „უნებლიე“ შეცდომები მიანიშნებს, რომ პროექტი, რომლის განხორციელებაც თეთრიწყაროში დაიგეგმა და რომლის დოკუმენტაციაც სახელმწიფოს 3750 ლარი დაუჯდა, „გადმოკოპირებულია“ ქუთაისში განხორციელებული რომელიღაც პროექტიდან, რაც პროექტის ავტორის პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ აყენებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სარეაბილიტაციო პროექტისთვის შერჩეული იყო სტანდარტი СНиП 3.06.03-85, რომელიც განკუთვნილია საავტომობილო გზების მშენებლობისთვის და არა ქალაქის ქუჩების მოწყობისთვის.

თუმცა, დაპროექტებისას დარღვეულია მითითებული სტანდარტიც: საპროექტო დოკუმენტაცია მითითებული სტანდარტის დაცვით რომ შედგენილიყო, უნდა დაგეგმილიყო ქვიშა-ხრეშოვანი საფუძველი ფენის სპეციალური ემულსიით გაჟღენთვა და მასზე ასფალტბეტონის ორი ფენის დაგება, რაც, რეალურად არ მომხდარა. ემულსიით საფუძვლის გაჟღენთვა და ასფალტის მეორე ფენა პროექტით არ არის გათვალისწინებული.

როგორც განმარტებულია სამშენებლო ნორმებითა და წესებით, ასფალტის მეორე ფენა განაპირობებს გზის საიმედოობას, მისი არსებობა აუცილებელია ისეთ კლიმატურ ზონაში, სადაც ჰაერს დაბალი ტემპერატურა ხანგრძლივად აქვს. ქ.თეთრიწყარო სწორედ ასეთ, მკაცრ კლიმატურ ზონაშია გაშენებული, თუმცა, ეს არ ასახულა სარეაბილიტაციო პროექტში.

გონივრულად დაგეგმილი სარეაბილიტაციო პროექტის შედეგად სანიღვრე არხების სისტემას გასასვლელი ან შემკრები უნდა ჰქონდეს. თეთრიწყაროს შემთხვევაში ეს პირობა არ შესრულებულა. ცხრა ძმის, გარისისა და დემეტრაშვილის (პარალელური ქუჩების) შემკრები არხი მშვიდობის ქუჩაზე უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც მათ პერპენდიკულარულად კვეთს. თუმცა, მშვიდობის ქუჩაზე არსებული ისედაც ხანადაზმული და ამორტიზებული არხი მიწითაა ამოვსებული და ის, რასაკვირველია, ვერ უზრუნველყოფს ამ სამი ქუჩიდან ჩამოდენილი სითხის გატარებას. სარეაბილიტაციო პროექტით არ დაგეგმილა და შესაბამისად, არც მომხდარა ამ არხის რეაბილიტაცია, იმის მიუხედავად, რომ ამისი საჭიროება მეტად მწვავეა.

შედეგად, ახლად აშენებული არხებიდან წყალი დაიღვრება მშვიდობის ქუჩაზე და დააზიანებს როგორც მასზე არსებულ ძველი ასფალტის საფარს, ასევე ამ ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლებსაც.

სამუშაოების ხარისხი

აღსანიშნავია, რომ შესრულებული სამუშაოები თავის მხრივ არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილს, კერძოდ: იმის მიუხედავად, რომ პროექტით გათვალისწინებული იყო სანიაღვრე არხების მთელ სიგრძეზე ლითონის ცხაურების მოწყობა, ისინი არის მხოლოდ მოქალაქეების საცხოვრებელი სახლის წინ და მათი კონსტრუქციის ზომები და ფორმები ასევე არ შეესაბამება პროექტში მითითებულს. შესაბამისად, მათი ექსპლუატაციის ვადა ძალზე მცირეა - ცხაურები ვერ გაუძლებს დატვირთვას და მალე გამოვა მწყობრიდან.

ლესელიძის და ცხრა ძმის ქუჩები რეაბილიტაციის შედეგად საგრძნობლად ამაღლდა, ხოლო მოსახლეობის ეზოები დარჩა ასფალტთან შედარებით დაბალ ნიშნულზე. შედეგად გზაზე მოხვედრილი ნალექი გროვდება მოსახლეთა ეზოებში და არა იმ ახლად მოწყობილ არხებში, რომელიც ეზოებზე გაცილებთ მაღალ ნიშნულზე მდებარეობს. ამასთან, სანიაღვრე ქსელი მოეწყო მას შემდეგ, რაც უკვე დაგებული იყო ასფალტბეტონის საფარი.

ქალაქის მოსახლეობის მოლოდინი თითოეული პროექტის მიმართ ძალზე მაღალია. პროექტმა, იმის გარდა, რომ მოქალაქეთა მოლოდინი ვერ გაამართლა, ქალაქის ამ უბანს მოუსპო იმისი შესაძლებლობა, რომ ახლო მომავალში მოხდეს მისი გონივრული რეაბილიტაცია, ვინაიდან ასეთი რესურსი მისთვის უკვე დიდი ხნის მანძილზე აღარ გამოიყოფა.

ქ. თეთრწყაროს ქუჩების რეაბილიტაციის შედეგად გამოვლინდა რომ:

1. არასწორად შერჩეული სამშენებლო სტანდარტის გამო მოხდა საავტომობილო გზის და არა ქალაქის ქუჩების მოწყობა: არ შექმნილა ქალაქის ტიპის დასახლებისთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურა. მანქანების სავალ ნაწილთან ერთად არ მოწყობილა ტროტუარები ფეხით მოსიარულეთათვის, მეტიც, ტროტუარებისთვის განკუთვნილი ტერიტორია არც გაწმენდილა ზედმეტი მიწისგან.

2. დაგებული ასფალტის საფარი მდებარეობს ქუჩის შუა ნაწილში და იმდენად ვიწროა, რომ შემხვედრი მსუბუქი ავტომანქანები გაჭირვებით უქცევენ ერთმენთს გვერდს.

3. ასფალტის საფარის დაგებამდე არ მოხსნილა ტალახნარევი მიწის ფენა (რაც პროექტით დაგეგმილი იყო), რის გამოც ქუჩის დონემ ბევრად მაღლა აიწია, საცხოვრებელი სახლების ეზოები კი დაბლა დარჩა..

4. დაიგო ასფალტის ერთი ფენა, რომლის საექპლუატაციო ვადა მკაცრ კლიმატურ პირობებში ხანგრძლივი ვერ იქნება.

5. არ მომხდარა ასფალტის საფარის დაგებამდე საფუძველი ფენის სპეციალური ემულსიით გაჟღენთვა.

6. არაგონივრულად მოეწყო სანიაღვრე არხები, რომლებზეც განთავსადა უხარისხო ცხაურები, რომლთა ექსპლუატაციის ვადა ძალზე მცირეა.

7. არ მოწყობილა სანიაღვრე არხების შემკრები სისტემა.

8. არ მომხდარა სარეაბილიტაციო უბანში რეაბილიტაციამდე არსებული ამორტიზებული არხების შეკეთება და მათი დაკავშირება ახლად მოწყობილ არხებთან.

9. არ განთავსებულა საგზაო ნიშნები, ასფალტი არ დახაზულა საგზაო მოძრაობის წესების შესაბამისად.

10. სახეზეა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები და ამისათვის დახარჯული თანხა არ არის შედეგის ადექვატური.

პროექტის თაობაზე ინფორმაცია არ გავრცელებულა მისი დაგეგმვის ადრეულ სტადიაზე, მოქალაქეებს არ მიეცათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ პროცესში და ზეგავლენა მოეხდინათ მასზე.

დასკვნა

რეგიონალური განვითარების სტრატეგიის განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყოს ევროკავშირში არსებული გამოცდილების გაზიარება როგორც სუბსიდიარობის, ასევე პარტნიორობის პრინციპის განხორციელებასთან მიმართებაში, განსაკუთრებით რეგიონალურ კონტექსტში, რაც ხელს შეუწყობს ერთის მხრივ, ადგილობრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ, გაზრდის რეგიონალური და სოფლად განვითარების პროექტების გამჭვირვალობასა და ეფექტურობას. ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტიისა და ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესრულებას.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში განვითარების პროცესები დაექვემდებაროს დაგეგმვის საერთო სისტემას. ამ მხრივ, რეგიონალური განვითარების სტრატეგია და რეგიონალური განვითარების სამოქმედო გეგმები მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, მათ შორის მდგრადი განვითარების მიმართულებით.

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია შემუშავდეს მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება, როგორც ამას მოითხოვს სამოქმედო გეგმა, რათა დაიწყოს ეკონომიკურ სექტორებში გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ინტეგრაციის პროცესი.

- გარემოს დაცვის სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის ხელახლა შემუშავებაზე, ევროკავშირის დირექტივებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრულფასოვანი კანონმდებლობის შემუშავებამდე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოების წარმოებისთვის;

- საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღოს კანონპროექტი „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“, რომლითაც ბუნების ძეგლის სტატუსი მიენიჭება ჯერ კიდევ 2010 წელს სპეციალური სამთავრობო კომისიის მიერ, ბუნების ძეგლების ნუსხაში შეტანილ 100 ობიექტს.

- დაიწყოს ქვეყნის კრებსითი ენერგეტიკული ბალანსის მომზადება, რომელიც ასახავს ყველა სახის ენერგოშემცველის (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, თხევადი გაზი, ნავთობპროდუქტები, ნახშირი, შეშა და სხვა) მიწოდების და მოხმარების სურათს ეკონომიკის დარგებსა და მოსახლეობაში, რაც შექმნის ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიული გეგმების შემუშავების საფუძველს;

- სამოქმედო გეგმის ვალდებულებათა შესაბამისად, დაუყოვნებლივ დაიწყოს განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო პაკეტის, მათ შორის ფინანსური სამოქმედო გეგმის მომზადება;

- საზოგადოების ფართო მონაწილეობით შემუშავდეს საქართველოს ენერგო-სექტორის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც განიხილავს ყველა რეალისტურ ალტერნატივას (მათ შორის, მცირე ჰიდროსისტემებს, ქარისა და მზის ენერგეტიკას, ბიომასას), რათა შეირჩეს საქართველოს ბუნებისა და მოსახლეობისათვის ყველაზე უმტკივნეულო, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, როგორც ეს რეკომენდირებულია კაშხლების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ;

- შეჩერდეს იმ პროექტების განხორციელება, რომელიც გულისხმობს ათასობით ადამიანის იძულებით გადასახლებას, და შემუშავდეს მოსახლეობისა და გარემოსდაცვითად მისაღები ალტერნატივები.

- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემადგენელი - მონაწილეობისა და სოციალური პარტნიორობის პრინციპი. ეს საშუალებას მისცემს საზოგადოებას ზეგავლენა მოახდინოს პროექტზე მისი დაგეგმვის ადრეულ სტადიაზე და ის დაიგეგმოს გონივრულად და მოერგოს საჭიროებებს, ამასთან განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი;

- მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდა, ტრენინგებისა და სემინარების გზით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის აქტიური და ინფორმირებული ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

- რეგიონალური განვითარების სამინისტრომ, მუნიციპალური განვითარების ფონდმა და სხვა უწყებებმა უნდა პროაქტიულად შეატყობინონ მედიასა და არასამთავრობო სექტორის ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ, მათ შორის ცვლილებებისა და განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების შესახებ.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ენერგეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების გაუმჯობესება; ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ, საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს “დედამიწის მეგობრების” საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციასთან; მწვანე ალტერნატივა 2008 წელს დაარსებული კოალიციის «გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის» წევრიცაა. 2010 წელს მწვანე ალტერნატივას ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე მიმართული კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის გაწეული წარმატებული საქმიანობისათვის.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org